



# ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

მაკარიძე დ., ხაზარაძე გ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა,  
ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში,  
თბილისი, 2014

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა [www.princelibrary.ge](http://www.princelibrary.ge)

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის  
უნივერსიბიოთეკი



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

დავით მაკარიძე, გიორგი ზაზარაძე

**ადმინისტრაციული ორგანოს კასუსისმგებლობა**

**ადმინისტრაციული ორგანოს კასუსისმგებლობა**

**ჯანმრთელობის დაცვის სამართალში**

დავით ბატონიშვილის სამართლის  
ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი

2014

„ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში“ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამოცემა, რომელიც ინსტიტუტის თანამშრომლების – დავით მაკარიძისა და გიორგი ხაზარაძის მიერ მომზადდა. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს და ამავე დროს, შეუსწავლელ საკითხს იურიდიულ მეცნიერებაში. აღნიშნული ნაშრომი არის გარკვეული მცდელობა იმისა, რომ, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ახლებურად იქნას დანახული, ვიდრე ეს დღეს ქართულ სამართლებრივ რეალობაში ჩანს და მეორე მხრივ, გამოიკვეთოს ის თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემები, რაც შემდგომში უნდა აღმოიფხვრას და გამოსწორდეს კანონმდებლისა თუ პრაქტიკოსი იურისტის მიერ.

წიგნი საინტერესო იქნება ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებული იურისტებისათვის, სტუდენტებისა და ნებისმიერი სხვა პირისათვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი როგორც ზოგადი, ისე ჯანდაცვის სფეროს კუთხით.

რედაქტორი: ასისტენტ-პროფესორი ლიანა გიორგაძე

რეცენზენტი: ასოცირებული პროფესორი დოქტ. პაატა ტურავა

ყდის დიზაინი: დიმიტრი გეგენავა

ტექნიკური რედაქტორები: მონიკა გაბუნია  
მაია ნასრაშვილი  
ლიანა გიორგაძე  
დიმიტრი გეგენავა

© დავით მაკარიძე, გიორგი ხაზარაძე, 2014

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2014

# შინაარსი

წინათქმა.....	6
რეცენზია.....	8
რედაქტორისგან .....	10
შესავალი.....	13
<b>I. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.....</b>	<b>16</b>
1. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მოკლე ისტორიული ექსკურსი .....	16
2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტების სახეები .....	17
2.1 ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი სზაკ-ის 208-ე მუხლის მიხედვით.....	18
2.2. კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურება .....	18
2.3. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების ჩამორთმევისას.....	19
2.4. სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევაში გამოიყენება .....	21
2.4.1. უსაფუძვლო გამდიდრება.....	21
2.4.2. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა .....	24
2.4.3 ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.....	25
<b>II. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა .....</b>	<b>27</b>
1. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ცნება.....	27
2. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ფორმა.....	27
2.1. ზიანის ანაზღაურების საკონსტიტუციოსამართლებრივი საფუძველი .....	29
2.2. ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულსამართლებრივი საფუძველი .....	31
2.3. ზიანის ანაზღაურების სამოქალაქოსამართლებრივი საფუძველი .....	32
3. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სახეები; სუბიექტები, რომელთა მოქმედების შედეგად შეიძლება ზიანი დადგეს. ....	34

3.1. მოხელის მიერ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი .....	34
3.2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა.....	35
3.2.1. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოები.....	37
3.2.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირები .....	41
3.2.3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.....	42
3.2.4. ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას .....	45
3.3. სოლიდარული პასუხისმგებლობა .....	48
4. წინაპირობები, რომლებიც განაპირობებენ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას .....	53
4.1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესი .....	55
4.2. ბრალეული ქმედება .....	57
4.3. ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი .....	60
4.4. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები .....	62
5. სასამართლო პრაქტიკა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას.....	64
<b>III. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა და ჯანდაცვის სამართალი.....</b>	<b>71</b>
1. ჯანდაცვის ადგილი ადმინისტრაციულ სამართალში და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში. 71	
2. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართლისა და ჯანმრთელობის დაცვის სამართლის ურთიერთმიმართება .....	76
3. დელიქტები (ზიანი) ჯანდაცვის სამართალში .....	79
3.1. სამედიცინო პერსონალი და ინსტიტუცია, როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი.....	81
3.2. სამედიცინო საქმიანობა, როგორც საჯაროსამართლებრივი საქმიანობა .....	82
3.3. სამსახურებრივი მოვალეობა (“Amtspflicht”) .....	85
3.4. დაცვის ობიექტი, დელიქტური ქმედება და ბრალეული ქმედება	86

3.5. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.....	93
3.6. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი და შემზღვეველი გარემოებები.	93
3.7. მესამე (სხვა) პირთა მიმართ არსებული საჯარო ვალდებულება (სამსახურებრივი მოვალეობა) (“Drittschutz”).....	94
4. ჯანდაცვის შესახებ ქართული კანონმდებლობის არსებითი პრობლემები.....	95
<b>დასკვნა .....</b>	<b>98</b>
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>102</b>

## წინათქმა

ნაშრომის შექმნის მიზანია ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის უკეთ წარმოჩენა. ამ მიზნით ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი სასამართლო პრაქტიკისა და მოქმედი კანონმდებლობის ანალიზს, ასევე, უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების გაცნობას. აღსანიშნავია, რომ წიგნში გამოთქმულია ახლებური მოსაზრებები და მიდგომები პასუხისმგებელ სუბიექტებთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ადმინისტრაციული ორგანოს ცნების განმარტებას. ადმინისტრაციული სამართალი, როგორც სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, საქართველოში ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. სამართლის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ნაკლებადაა გამოკვლეული სამართლის ამ დარგის მთელი რიგი ინსტიტუტები. ჩვენი აზრით, აუცილებელია ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა, რათა აღმოიფხვრას ის დანაკლისი, რასაც სამართლის ეს დარგი კვლევებისა და სამეცნიერო ნაშრომების სიმცირის კუთხით განიცდის. წიგნის მიზანია მცირეოდენი წვლილი შევიტანოთ სამართლის ამ მიმართულების განვითარების მეტად საპატიო საქმეში. იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული ნაშრომი საინტერესო იქნება ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებული იურისტებისათვის, სტუდენტებისა და ნებისმიერი სხვა პირისათვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი როგორც ზოგადი, ისე ჯანდაცვის სფეროს კუთხით. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს და ამავე დროს, შეუსწავლელ საკითხს იურიდიულ მეცნიერებაში, ასე რომ, აღნიშნული ნაშრომი არის გარკვეული მცდელობა იმისა, რომ, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ახლებურად იქნას დანახული, ვიდრე ეს დღეს ქართულ სამართლებრივ რეალობაში ჩანს და მეორე მხრივ, გამოიკვეთოს ის თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემები, რაც შემდგომში უნდა აღმოიფხვრას და გამოსწორდეს კანონმდებლისა თუ პრაქტიკოსი იურისტის მიერ.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის მთელს შემადგენლობას. რომ არა ეს საზოგადოება, სავარაუდოდ, წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

ჩვენ მეტად მოხარულები ვართ, რომ ნაშრომი გამოდის სწორედ ამ ინსტიტუტის სახელით. სამართლის ინსტიტუტის გუნდი თავდაუზოგავად იღწვის იმისათვის, რომ ახალგაზრდა მკვლევარებს მიეცეს მუშაობის სტიმული და თავიანთი სიტყვა თქვან ჩვენს ქვეყანაში სამართლის ყველა დარგის მიმართულებით აკადემიური კვლების განვითარებაში.

ასევე, განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ სამართლის დოქტორს, პროფესორ პაატა ტურავას, რომელიც ნაშრომის შექმნის პროცესში დახმარებას გვიწვედა და ჩვენთვის მეტად სასარგებლო რჩევებს გვაძლევდა.

### **დავით მაკარიძე**

სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი (თსუ),  
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა  
და სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული  
განყოფილების იურისტი

### **გიორგი ხაზარაძე**

სამართლის მაგისტრი, სსიპ სოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის იურიდიული  
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი



## რეცენზია

2000 წელს ძალაში შევიდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (სზაკ-ი). აღნიშნულმა კოდექსმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის დამკვიდრებას. საბჭოთა წყობილებისათვის უცხო იყო საჯარო მმართველობის ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე დავის სასამართლო წესით განხილვა.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, სზაკ-ი აყალიბებს კანონიერების პრინციპს, რომელიც გულისხმობს მმართველობითი ფუნქციების კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპზე დაყრდნობით განხორციელებას. მმართველობითი ღონისძიება, რომელიც ზღუდავს პირის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, საჭიროებს სამართლებრივ საფუძველებს. სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება არის სზაკ-ის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მხრივ, სზაკ-ი სრულყოფილად არ აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს. მეორე მხრივ, როგორც სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, კოდექსის 208-ე და 209-ე მუხლები ხშირად არასწორად არის გაგებული პრაქტიკაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინსტიტუტების საჯარო მმართველობის პრაქტიკაში სწორად დამკვიდრების საქმეში მნიშვნელოვანია იურიდიული მეცნიერების როლი. წინამდებარე წიგნიც უნდა შეფასდეს, როგორც ადმინისტრაციული სამართლის პრაქტიკის განვითარებისათვის ხელშეწყობის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი.

წიგნის ავტორები არიან იმ თაობის იურისტები, რომლებიც როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტები პირველები ისმენდნენ ლექციებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სამართლაში. როდესაც უნივერსიტეტში პირველად იქნა წაკითხული ახალი დარგი, ეს შეიძლება შეფასდეს როგორც სწავლა-სწავლების პროცესი. იმ ეტაპზე ტერმინებიც კი არ იყო ჩამოყალიბებული და დისკუსიას იწვევდა ცალკეული ინსტიტუტების სახელწოდება, მათ შორის, სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა და ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ცნებების გამოიყენა. მიდიოდა მსჯელობა იმაზე, თუ რას გუ-

ლისხმობს საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტი, როგორია საკუთრების ჩამორთმევის ტოლფასი ხელყოფის შინაარსი და რითი განსხვავდება ის ირიბი ექსპროპრიაციისაგან. ასევე, ცხარე დისკუსიებს იწვევდა ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტების გადმოტანა ადმინისტრაციულ სამართალში.

მისასაღებელია ავტორების სურვილი, შეექმნათ ნაშრომი, სადაც განხილულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სამართლის ერთ-ერთი აქტუალური ინსტიტუტი - ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრობლემის უკეთ გაგების მიზნით ავტორები აღნიშნულ ინსტიტუტს იხილავენ ჯანდაცვის სფეროს მაგალითზე.

მიმაჩნია, რომ ნაშრომი ხელს შეუწყობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სამართლის განვითარებას და საჯარო მმართველობის პრაქტიკაში ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის სწორად გაგებას.

### **პაატა ტურავა**

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (თსუ), შს სამინისტროს აკადემიის სამართლის სკოლის დეკანი

## რელაქტორისგან

ქართული ადმინისტრაციული სამართალი ბოლო წლების განმავლობაში აქტიურ ცვლილებებს განიცდის. ხდება არსებული ინსტიტუტების დახვეწა და სრულყოფა, ახალი ინსტიტუტების დანერგვა და განვითარება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ იურიდიულმა მეცნიერებამ ფეხი აუწყოს კანონმდებლობის განვითარებას და უფრო მეტიც, დაეხმაროს ამ პროცესს, მით უფრო იმ ფონზე, როცა ქართული სამეცნიერო სივრცე მრავალფეროვანი სამართლებრივი ლიტერატურით არ არის განებივრებული.

„ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში“ წარმოადგენს დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების მორიგ გამოცემას. ნაშრომი ადმინისტრაციული სამართლის ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს ეხება, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი მეტ-ნაკლებად შესწავლილია, ავტორები გვათავაზობენ ახლებურ და თანამედროვე ხედვას, ევროპული სტანდარტების შესაბამის მიდგომებსა და სიახლეებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში. ეს უკანასკნელი ქართული სამართლებრივი ლიტერატურაში სრულიად შეუსწავლელი სფეროა, ხოლო მისი წარმოდგენა ადმინისტრაციული სამართლის ჭრილში კი მართლაც ნოვაციაა, რასაც ავტორები არ შეუშინდნენ. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება ორიენტირებულია სწორედ ახალი და ჯერ კიდევ განვითარების პროცესში მყოფი სამართლის დარგებისა და სფეროების სამეცნიერო კვლევასა და შესწავლაზე. ამდენად, ეს ნაშრომი ამ მხრივაც მეტად საინტერესო და ღირებულია.

გვსურს, მაღლობა გადავუხადოთ ავტორებს გაწეული შრომისათვის და იმედს ვიტოვებთ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი საინტერესო იქნება ადმინისტრაციული სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევა-

რისთვის და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სტუდენტებს სწავლის პროცესში.

**ლიანა გიორგაძე**

დავით ბატონიშვილის სამართლის  
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე,  
ადმინისტრაციული სამართლის  
მემართულების ხელმძღვანელი



## შესავალი

სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს არსებითი პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომ ერთი სუბიექტის მიერ მეორე მიმართ ზიანის მიყენების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი.<sup>1</sup> აღნიშნული წარმოადგენს ბუნებით უფლებას და უშუალო კავშირშია ზოგადსამართლებრივ საწყისებთან. „ბუნებითი კანონები გამომდინარეობენ უშუალოდ ჩვენი არსების აღნაგობიდან“.<sup>2</sup> შედეგად, პოზიტიური კანონმდებლობის ჩამოყალიბების კვალდაკვალ აუცილებელი გახდა ზემოაღნიშნული პრინციპის საკანონმდებლო ლეგიტიმაცია.

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა. როდესაც უფლების დარღვევა სახელმწიფო ძალაუფლების მატარებლის ქმედებიდან გამომდინარეობს და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია (ან უკვე შეუძლებელია) სასამართლოსადმი მიმართვის გზით, სახელმწიფო ვალდებულია, აღმოფხვრას ეს დარღვევა (მისი მხენე შედეგები) ზიანის ანაზღაურების გზით.<sup>3</sup>

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არაა ახალი ფენომენი, არამედ დიდი ხნის წინათ აღიარებული სამართლებრივი ინსტიტუტია. მისი არსებობა შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მიერ არასწორი მოქმედებისაგან დგება. ეს მოსაზრება საფუძვლად დაედო პრუსიის სახელმწიფო სამართალში სახელმწიფო პასუხისმგებლობის სამართლის კოდიფიკაციას. საკანონმდებლო ტერმინოლოგიაში ცნებას – „სახელმწიფო პასუხისმგებლობის სამართალს“ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის კანონში მტკიცე ადგილი 1981 წლის შემდეგ უკავია.<sup>4</sup> სახელმწიფო პასუხისმგებლობა, ეს არის ცნება, წინასწარ შეზღუდული, როგორც პასუხისმგებლობა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის, რომელიც გამოწვეულია საჯარო სამართლებრივი

---

<sup>1</sup> Baldus M., Grzeszick B., Wienhues S., Staatshaftungsrecht. Das Recht der öffentlichen Ersatzleistungen, 2005, 45

<sup>2</sup> მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიდის თარგმანი, რ. ფეიქრიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1994, 33.

<sup>3</sup> ტურავა პ., წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 144.

<sup>4</sup> Detterbeck S., Windthorst K., Sproll H., Staatshaftungsrecht, Munchen, 2000, 1-2.

ქმედებით. ამის მიზეზია ის, რომ დაზარალებული ხშირად სამართლებრივი საფუძვლიდან გამოდინარე, უფლებების დაცვას ვერ აღწევს. მაგალითად, დაზარალებულს შეიძლება ზიანი მიაღგეს იმ დროს, როდესაც პოლიციელი დევნის დამნაშავეს, ან ქუჩაში უწევს ტრანსპორტით გამოწვეული ხმაურის ატანა. ამ შემთხვევაში, დაზარალებულის უფლების ზღბა სახელმწიფოს მიერ მისთვის კომპენსაციის გადახდით დაცვა.<sup>5</sup> სახელმწიფოს პასუხისმგებლობაში მოიაზრება სახელმწიფოსთან მიმართებით მოქალაქეთა სამართლებრივი უფლება, თუ სახელმწიფო ახორციელებს გარკვეული სახის ჩარევას. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება არსებითად მნიშვნელოვანი ხასიათისაა. ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მოქალაქეთა მხრიდან სახელმწიფოს მიერ ყოველ ჩარევაზე მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობა. მოთხოვნის წაყენებას, თავის მხრივ, შესაბამისი წინაპირობები აქვს.<sup>6</sup>

სამართლის მიერ ხელისუფლების შებოჭვა იმის პირველი მცდელობა იყო, რომ სახელმწიფოს ვერ ემოქმედა თვითნებურად, ვერ მოეხდინა კონკრეტული ინდივიდების უფლებათა უზურპაცია და სამართალს, როგორც ასეთს, მისთვისაც ეარსება. სამართლის მიერ ხელისუფლების შებოჭვა მოითხოვდა ინსტიტუციურ უზრუნველყოფას, რომელიც სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვას გააკონტროლებდა. ასეთი ინსტანცია კი მხოლოდ დამოუკიდებელი სასამართლო შეიძლება ყოფილიყო.<sup>7</sup> თუმცა სამართლის განვითარების შედეგად, სახელმწიფო მმართველობის საქმიანობის პროცესის სტრუქტურულად გართულების თანამდეგად (რასაც თან მოჰყვა ადმინისტრაციული სამართლის ჩამოყალიბებაც), საჭირო შეიქნა კონკრეტული სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაცია. შედეგად, მივიღეთ ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკური ნაწილი, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართალს უწოდებენ.

ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელოს ავტორები, სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების თავში აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოებისა და მუშაკების მიერ მიყ-

---

<sup>5</sup> იქვე, 1.

<sup>6</sup> იქვე, 349.

<sup>7</sup> ხუბუა გ, შესავალი სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2004, 97.

ნებული ზიანისათვის ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საკითხია ყველა ქვეყნის ადმინისტრაციულ სამართალში. ეს სირთულე ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ ადვილი შესაძლებელია სახელმწიფო გაკოტრდეს, თუ მას დაეკისრება მისი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოების მიერ კერძო პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოთა პასუხისმგებლობისაგან სრული გათავისუფლების შემთხვევაში დგება სახელმწიფო ადმინისტრაციის თვითნებობის და შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოებისა და მათი ჩინოვნიკების მხრიდან კერძო პირთა (მოქალაქეების, საწარმოების, საზოგადოებრივი გაერთიანებების) უფლებების დარღვევის საფრთხე.<sup>8</sup> როგორც ვხედავთ, ეროვნულ კანონმდებლობაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია. ასევე, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის ეფექტური მექანიზმის არსებობა და მისი პრაქტიკაში განხორციელება.

ავტორთა ნაწილი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა „ადააუწყვეტელი პრობლემა“<sup>9</sup>, რომელსაც ძალიან ფაქიზი და ამავე დროს, კანონმდებლის, მოსამართლის, პრაქტიკოსი იურისტისა თუ მეცნიერ-იურისტების მხრიდან სკრუპულოზური მიდგომა სჭირდება. უმთავრესი პრობლემა კი სწორედ ისაა, რომ სახელმწიფომ უნდა მოახერხოს „ოქროს შუალედის“ პოვნა, რომელიც ეფექტიან საჯარო მმართველობას, საჯაროსამართლებრივ ფუნქციონირებასა და ზიანის ანაზღაურების რელევანტურ მექანიზმებს შორის იარსებებს<sup>10</sup>.

ნაშრომის ძირითადი მიზანია სრულყოფილად წარმოაჩინოს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ის ინსტიტუტი, რომელიც დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში სჰაკ-ი) 208-ე მუხლით – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძვლები, გან-

---

<sup>8</sup> ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 323.

<sup>9</sup> Harlow C., State liability: Problem without Solution, North Carolina Journal of Law, №6, 1996, 67.

<sup>10</sup> Fairgrieve D., State Liability in Tort – Comparative Law Study, 2003, US, 3.



საზღვროს ის შემთხვევები, თუ როდის უნდა დადგეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, წარმოაჩინოს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები, ყურადღება გამახვილდეს ამ ნორმით დადგენილი ინსტიტუტის სრულყოფაზე, წარმოაჩინოს მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები და განიხილოს ამ ინსტიტუტის ფუნქციონირება ჯანმრთელობის დაცვის სამართალში.

## I. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

### 1. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მოკლე ისტორიული ექსკურსი

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ისტორიული ასპექტები კონტინენტურსა და საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში მისი განვითარების ტენდენციებზე მიგვანიშნებს. განსაკუთრებით საინტერესოა ფრანგული და ინგლისური სამართალი, სადაც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მე-18 საუკუნის ჩათვლით მონარქიული პასუხისმგებლობის საკითხი იდგა. ამ პერიოდში საფრანგეთში პრინციპი „მეფე არ ცდება“,<sup>11</sup> „მეფე შეცდომას არ უშვებს“ მოქმედებდა, რომელიც „უპასუხისმგებლობის“<sup>12</sup> პრინციპთან უშუალო კავშირში იყო<sup>13</sup>. აღნიშნული გულისხმობდა იმას, რომ მონარქი მმართველობის განხორციელების პროცესში შეუზღუდავი იყო და მას მონარქის იმუნტეტი ჰქონდა. რაც შეეხება ინგლისს, აქაც ანალოგიური პრინციპი<sup>14</sup> მოქმედებდა, რაც არ იძლეოდა მონარქის მიმართ მიყენებული ზიანისათვის რაიმე მოთხოვნის წაყენების საშუალებას<sup>15</sup>.

მე-19 საუკუნის დასაწყისში სახელმწიფოს პასუხისმგებლობით ხელისუფლების შებოჭვის მცდელობა იყო. ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა ზიანთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვა დაიწყეს, რომლებიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ისეთ საკითხებზე ეხებოდა, როგორც გზის მშენებლობა, საფოსტო-საკურიერო სერვისი და საპოლიციო საქმიანობა

---

<sup>11</sup> “Le Roi ne peut mal faire” (ფრ.).

<sup>12</sup> “Irresponsabilite” (ფრ.).

<sup>13</sup> Soulier G., Reflexions Sur l’Evolution et l’Avenir du Droit de la Responsabilite de la Puissance Publique, Revue du *droit public*, 1969, 1039, 1043.

<sup>14</sup> “The king can do no wrong” (ინგ.), „მეფე არ ცდება“.

<sup>15</sup> Street H, Governmental Liability: A Comparative Study, Cambridge, 1953, 1.

გახლდათ<sup>16</sup>. თუმცა რიგ საკითხებთან დაკავშირებით პრობლემები ჩნდებოდა. აღნიშნული ინსტიტუტის იმპლემენტაციაში განსაკუთრებული წვლილი ფრანგულ “Conseil d’Etat”-ს<sup>17</sup> მიუძღვის, რომელიც 1799 წელს (აქამდე საფრანგეთში ადმინისტრაციული იურისდიქცია არ არსებობდა) ჩამოყალიბდა. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული, ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს შეიძლება სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეეარაცხთ და კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება პასუხისმგებლობა საკუთარ მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ დელიქტებზეც დაეკისროთ<sup>18</sup>.

## 2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტების სახეები

შესავალში აღნიშნულ იქნა, რომ ნაშრომის ძირითადი მიზანია, წამოაჩინოს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ის საშუალება, რომელიც დადგენილია სზაკ-ის 208-ე მუხლით, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში. ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ფართო სფეროა, ხოლო სზაკ-ის 208-ე მუხლით დადგენილი შემთხვევა, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. გარდა ამ შემთხვევისა, არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ისეთი საშუალებები, როგორცაა კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება; საკუთრების ჩამორთმევის შედეგად ზიანის ანაზღაურება და ზიანის ანაზღაურების ის სამართლებრივი გზები, რომლებიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და გამოიყენება ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობისას. მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ მათგანს, რათა წარმოჩინდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ის საშუალებები, რაც დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და სასამართლოს პრაქტიკის ანალიზით არსებობს.

---

<sup>16</sup> Fairgrieve D., *State Liability in Tort – Comparative Law Study*, 2003, US, 9.

<sup>17</sup> აღნიშნული ორგანო ორმაგი ფუნქციის განმახორციელებელ სტრუქტურას წარმოადგენს – საფრანგეთის აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივ მრჩეველსა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების უზენაეს ორგანოს.

<sup>18</sup> იქვე, 11.

## **2.1 ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი სზაკ-ის 208-ე მუხლის მიხედვით**

სზაკ-ის 208 მუხლში მოცემული შემთხვევა ადმინისტრაციული ორგანოს, მისი თანამდებობის პირის, სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან ორგანოს სახელით დელეგირებული უფლებამოსილების, ან დავალების საფუძველზე მოქმედი მესამე პირების მიერ, სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისას უკანონოდ ზიანის მიყენებას ეხება. სზაკ-ით, ასევე, დადგენილია,<sup>19</sup> რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი გამოიყენება. კანონმდებელმა, ამ დანაწესით, ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმას დაუკავშირა, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის ადგენს. სწორედ აღნიშნული შემთხვევა იქნება ნაშრომის მთავარი საკითხი, რაზეც უფრო დეტალურად შემდეგ თავებში ვისაუბრებთ.

## **2.2. კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

ამ შემთხვევას სზაკ-ის 209-ე მუხლი აწესრიგებს. ზიანის გამოწვევა იმავე სუბიექტების მიერ ხდება, რაც სზაკ-ის 208-ე მუხლითაა დადგენილი, იმ განსხვავებით, რომ აქ გვაქვს ზიანი, რომელიც პირს კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით მიადგა.<sup>20</sup> განსხვავება ზიანის ანაზღაურების ამ ორ ინსტიტუტს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებას საფუძვლად ორგანოს უკანონო ქმედება უდევს. მეორე შემთხვევა კი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებასთან დაკავშირებულია კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან, რომლითაც თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, პირს ან პირთა გარკვეულ წრეს არსებითი ზიანი ადგება.

---

<sup>19</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი.

<sup>20</sup> იქვე, 209-ე მუხლი.

ამ ინსტიტუტის დაცვის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული საკუთრების უფლება. აღნიშნული მოდელი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც კანონშესაბამისი საჯაროსამართლებრივი ქმედება არ არის ადრესატის უფლების შეზღუდვისაკენ პირდაპირ და უშუალოდ მიმართული, თუმცა ეს შეზღუდვა შედეგობრივად თავს იჩენს, როგორც გვერდითი მოვლენა. ღონისძიების ადრესატი ე.წ. „განსაკუთრებული მსხვერპლის“ როლში გვევლინება.<sup>21</sup> ხსენებული ინსტიტუტის ძირითადი მიზანია იმ პირთა უფლებების დაცვა, რომელთაც საკუთრება არ ჩამორთმევათ, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოების კანონიერი მოქმედების შედეგად ამ საკუთრების გამოყენება დანიშნულებისამებრ ვეღარ ხდება ან საკუთრების ობიექტი იმ დანიშნულებას კარგავს, რაც მას ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებამდე ჰქონდა. სწორედ ამიტომ, საკუთრების ასეთ შეზღუდვას საკუთრების არაპირდაპირ შეზღუდვას, ირიბ ექსპროპრიაციას უწოდებენ.<sup>22</sup> საკუთრების ფლობის ან/და განკარგვის უფლების ისეთი შეზღუდვა, რომელიც ადრესატში „განსაკუთრებულ ქონებრივ მსხვერპლს წარმოშობს“, რაც საზოგადოებრივ ადექვატურობას არსებითად სცილდება, ანუ ადრესატის არსებით ქონებრივ დანაკლისს წარმოადგენს ან არსებითად მას სამომავლო მოგების შესაძლებლობას ართმევს, თავის მხრივ, საკუთრების თუნდაც ნაწილობრივ ჩამორთმევას წარმოადგენს, ან არსებითად უთანაბრდება მას.<sup>23</sup>

### 2.3. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საკუთრების ჩამორთმევისას

ქართულ საკანონმდებლო სივრცეში ზიანის ანაზღაურების ისეთი შემთხვევა არსებობს, როდესაც საკუთრების ჩამორთმევის გამო დღის წესრიგში სახელმწიფოს მიერ გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება. აღნიშნულ შემთხვევას საფუძვლად საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი უდევს, რომლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს

---

<sup>21</sup> ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 147.

<sup>22</sup> იქვე, 148.

<sup>23</sup> იქვე.

გადაწყვეტილებით, ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისგან“. ზიანის ანაზღაურების ეს შემთხვევა 1997 წლის 11 ნოემბრის „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ ორგანული კანონითაა მოწესრიგებული, რომელიც საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას სათანადო ანაზღაურებით საკუთრების ჩამორთმევის ზოგად წესს ადგენს და განსაზღვრავს, თუ რა მიეკუთვნება გადაუდებელ აუცილებლობას. კანონის თანახმად, ასეთად მიიჩნევა ვითარება, „რომლის დროსაც ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის, ეპიზოტის გამო საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ უშიშროებას“.

საკითხს, ასევე, 1999 წლის 23 ივლისის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს. კანონით დადგენილია ტერმინი „ექსპროპრიაცია“, რაც ნიშნავს: „საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და ამ კანონის შესაბამისად საკუთრების ჩამორთმევას, ჩამორთმეული ქონების სათანადო კომპენსაციით“. კანონით დადგენილია, თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი ექსპროპრიაციის განხორციელება, ასევე, ამ პროცედურის განხორციელების წინაპირობები. „გამომდინარე იქედან, რომ ზემოაღნიშნული კანონების საფუძველზე საკუთრების ჩამორთმევა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ხორციელდება, მას ადმინისტრაციულ ჩამორთმევა-საც უწოდებენ“<sup>24</sup>. აღნიშნული, სზაკ-ით დადგენილ ინსტიტუტებთან ერთად, სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების კიდევ ერთ შემთხვევას ქმნის.

---

<sup>24</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003, 174.

## 2.4. სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტები, რომლებიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევაში გამოიყენება

პრაქტიკაში ისეთი შემთხვევებიც არსებობს, რომლებიც ზემოთ მოყვანილი ზიანის ანაზღაურების მექანიზმის ფარგლებში არ ჯდება. ამიტომ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში, სამოქალაქო სამართლის ის ინსტიტუტები გამოიყენება, რომლებიც ზიანის ანაზღაურების სრულყოფილი მექანიზმის არსებობას უზრუნველყოფენ. ამის თქმის საფუძველს სასამართლო პრაქტიკა იძლევა, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცემულ კრებულებში ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებში ცალკეა გამოყოფილი უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის დაბრუნება,<sup>25</sup> პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა,<sup>26</sup> ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება.<sup>27</sup> შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია, დამატებით, ზიანის ანაზღაურების შემდეგი სახეობები გამოვყოთ.

### 2.4.1. უსაფუძვლო გამდიდრება

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში გერმანულ სამართალშიც გამოიყენება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 818-ე III, 818-ე IV, 819-ე პარაგრაფები უსაფუძვლო გამდიდრებას განსაზღვრავენ. უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუკი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ვერ ხერხდება. უსაფუძვლო გამდიდრების საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში შემოღება გერმანიის დი-

<sup>25</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება №ბს-284-250-04.

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება №ბს-550-633-(კ-03).

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №ბს-1163-738-(კ-05).

რიოთადი კანონის მე-20 III მუხლიდან გამოდინარეობს. ეს პრინციპი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელს ისეთი ქონების დაბრუნებას ავალდებულებს, რომელიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მიიღო, ასევე, საუბარია ისეთ ქონებაზე, რომელიც მის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იყო გაცემული<sup>28</sup>.

საქართველოში უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლები აწესრიგებს. „ქონების უსაფუძვლოდ შეძენა ნიშნავს შეძენის ქონების გაზრდას სხვა პირის ხარჯზე კანონით, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე“.<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებაში<sup>30</sup> აღნიშნულია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მთავმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სასარგებლოდ 1 397 800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა. თუმცა მოგვიანებით, 2008 წლის 8 ივლისს, პრეზიდენტის წარმომადგენელმა სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოსარჩელისათვის 1 397 800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის ვალდებულება არ არსებობდა, თუმცა სახელმწიფოს ეს თანხა მოსარჩელის სასარგებლოდ უკვე გადახდილი ჰქონდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე უსაფუძვლო გამდიდრდა, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა, ან შეწყდა შემდგომში“. რამდენადაც დადგენილი იყო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსარჩელისთვის 1 397 800 აშშ დოლარის ეკვივა-

<sup>28</sup> Detterbeck S., Windhorst K., Sproll H., Staatshaftungsrecht, Munchen, 2000, 434-435.

<sup>29</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 354.

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ბს-284-250-04.

ლენტი ლარის გადახდის კანონიერი ვალდებულება არ არსებობდა, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს აღნიშნული თანხა გადაეცა, გაუქმდა, სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ ფინანსთა სამინისტროს შეგებებული სარჩელი საფუძვლიანი იყო და სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის საფუძველზე, მოსარჩელეს 1 397 800 აშშ დოლარის გადახდა ეროვნულ ვალუტაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა. საკაცო პალატამ ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა<sup>31</sup>.

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,<sup>32</sup> სადაც ირკვევა, რომ ქ. თბილისის მერიამ კერძო პირის საკუთრებაში არსებული ფართი ამხანაგობას არაკანონიერად გადასცა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთის ამხანაგობისთვის გადაცემით მოსარჩელე კერძო პირის კანონიერი ინტერესები შეილახა და სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის თანახმად, „უსაფუძვლო გამდიდრების წესით მოთხოვნის უფლება აქვს, კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში კრედიტორს თბილისის მერია წარმოადგენს და მოსარჩელეს უფლება აქვს, მისგან ნაკვეთის უკან დაბრუნება მოითხოვოს. მაგრამ, რადგან სადავო ნაკვეთი ამხანაგობის საკუთრებაა, მერიამ მოსარჩელეს მისი ღირებულება უნდა აუნაზღაუროს“<sup>33</sup>.

როგორც ჩანს, ერთ შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრების წესები სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების მოტივით იქნა გამოყენებული, ხოლო, მეორე შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის, რამაც გამოხატულება უსაფუძვლო გამდიდრებაში ჰპოვა, ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების კუთხით, ქმედითი მექანიზმი გახდა. ამ ვარაუდს, ასევე, ადასტურებს ის, რომ ადმინისტრა-

---

<sup>31</sup> იქვე.

<sup>32</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება №ბს-1150-981-კ-04.

<sup>33</sup> იხ., იქვე.



ციულ ორგანოს პასუხისმგებლობაზე უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის ნორმები ვრცელდება<sup>34</sup>.

#### 2.4.2. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ისეთი შემთხვევაა, როდესაც დაზარალებული მხარის სურვილია, მოხდეს მდგომარეობის თავდაპირველი სახით აღდგენა. აღნიშნული ინსტიტუტი გერმანიის სამართლებრივ სისტემაშიც მოქმედებს. საჯარო სამართლებრივი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა სამოქალაქო სამართლით დადგენილი ანალოგიური ინსტიტუტის მსგავსია. იგი საჯარო სამართალში ქონების უკანონოდ გადასვლის შესატყვისად დაინერგა. მისი გამოყენების სფერო მოქალაქეებსა და სახელმწიფოს – საჯარო ხელისუფლების მატარებლებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაა.<sup>35</sup> ამ ინსტიტუტს სამოქალაქო სამართალი იცნობს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-415-ე მუხლებით დადგენილია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სამართლებრივი საფუძვლები. ადმინისტრაციული კანონმდებლობა ამ საკითხს არ აწესრიგებს, ხოლო, როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, არის შემთხვევები, როდესაც დაინტერესებულ მხარეებს, თავიანთი კანონიერი ინტერესების დასაცავად, მსგავსი მოწესრიგება ესაჭიროებათ. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, სასამართლო, დავის გადაწყვეტისას ზიანის ანაზღაურების ამ შედეგობას იყენებს, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებებში ნათლად ჩანს.<sup>36</sup>

საკასაციო პალატა ერთ-ერთ ასეთ დავაში, სადაც მოსარჩელეს მშენებლობის უფლება განსაზღვრულ ტერიტორიაზე უკვე მინიჭებული ჰქონდა, ხოლო მერიის აქტით ეს ადგილი მისი ნების საწინააღმდეგოდ შეიკვალა. შესაბამისად, იგი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას სამოქალაქო

---

<sup>34</sup> ადვიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კობალიაშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 323.

<sup>35</sup> Detterbeck S., Windhorst K., Sproll H., Staatshaftungsrecht, Munchen, 2000, 422.

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 20 იანვრის №ბს-550-633-(კ-03) გადაწყვეტილება.

კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ითხოვდა. ამ უკანასკნელის თანახმად, ზიანის ანაზღაურება იმ პირს ეკისრება, რომელიც იმ მდგომარეობის ადაღენაზეა ვალდებული, რომელიც იარსებებდა, ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო. ამავე კოდექსის მიხედვით, ისეთი პირი ის, რომელმაც თავისი განზრახი (არამართლზომიერი) ან გაუფრთხილებელი ქმედებით სხვას ზიანი მიაყენა. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ საქმეზე მოპასუხედ დასახელებულმა ქ. თბილისის მერიამ პირის მიმართ რაიმე ქმედება (გარდა სანაცვლო ტერიტორიის გამოყოფისა) განახორციელა და შედეგად, კასატორმა ზიანი განიცადა. სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი პირვანდელი მდგომარეობის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო კოდექსის ნორმებით არის დასაბუთებული.<sup>37</sup>

### **2.4.3 ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება**

ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების უფლება პირს სახელმწიფოს მიმართ იმ შემთხვევაში მიენიჭება, თუკი ეს უკანასკნელი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს არღვევს და ამით სხვებს ზიანს აყენებს. ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება გერმანული სამართლისთვისაც არ არის უცხო. ვალდებულების დარღვევის გამო სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურება ცივილური სამართლის ანალოგიის გამოყენებითაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში საჯარო სამართლებრივი ვალდებულებითი ინსტიტუტის ცნების შემოღება ხდება, რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით ურთიერთობებს აწესრიგებს.<sup>38</sup>

ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე-399-ე მუხლები აწესრიგებს. სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, წინამდებარე ნორმები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვალდებულებითი ურთიერთო-

---

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 თებერვლის №ბს-1113-950-კ-04 გადაწყვეტილება.

<sup>38</sup> Detterbeck S., Windhorst K., Sproll H., Staatshaftungsrecht, Munchen, 2000, 388.

ბის დარღვევის შედეგად ზიანის ანაზღაურებისთვისაც გამოიყენება. ამ შემთხვევას საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ეხება, სადაც სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს, ვალდებულებითი ურთიერთობის დარღვევის გამო, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს.<sup>39</sup> საქმე სსიპ „დაცვის პოლიციის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევას ეხება, რომლის გამო ფიზიკურმა პირებმა მატერიალური ზარალი განიცადეს. სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობები დაირღვა, რაც სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლით ზიანის ანაზღაურების საფუძველი გახდა<sup>40</sup>.

როგორც ზემოთ განხილული შემთხვევებიდან ჩანს, ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობა მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი შემთხვევებით არ შემოიფარგლება. იგი გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო ინსტიტუტების გადმოღებით გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ზიანის ანაზღაურების ეს ფორმები ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში არაა მოცემული, მათი ე.წ. „განსაჯაროება“ მოხდა და ამით პრაქტიკაში „საჯარო-კერძო“ სამართალი შემოიღეს, რომელიც ქართულ სამართლებრივ სივრცეში ახალი ტერმინია და იმ მდგომარეობას გადმოსცემს, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალში სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების ანალოგიის პრინციპის გამოყენებით შეიქმნა.

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სზაკ-ის 208-ე მუხლით დადგენილი ინსტიტუტიდან გამომდინარე, დავები საკმაოდ ხშირია. სასამართლო პრაქტიკის ანალიზით დგინდება, რომ დავის გადაწყვეტისას ზიანის ანაზღაურების ის მექანიზმი არ გამოიყენება, რომელიც დავის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება უფრო ქმედითი და ეფექტიანი იყოს. არის შემთხვევები, როდესაც ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირები არასწორად განისაზღვრება. არსებობს ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო და ადმინისტრაციული მექანიზმები, რომლებიც ერთსა და იმავე საკითხს განსხვავებულად აწესრიგებს, რაც სასამართლო პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებს ქმნის. ხშირ შემთხვევაში, სადავო საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე არ მიეთითება.

---

<sup>39</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება ბს-1163-738(კ-05).

<sup>40</sup> იხ., იქვე.

## **II. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა**

### **1. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ცნება**

„ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას ზიანთან მიმართებით, რომელიც დაკავშირებულია მისი მხრიდან საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან“<sup>41</sup>, ანუ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართალი რიგ საკითხებს მოიცავს, რომელიც ვალდებული საჯარო სუბიექტის მხრიდან ზიანის ანაზღაურების, ზარალის კომპენსაციის, სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენისა თუ დაუშვებელი ხელყოფის მოთხოვნის შეწყვეტის უფლებებთანაა დაკავშირებული.

გაბატონებული მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართალი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სამართლის ნაწილს და მის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს (რომელსაც მარტო გერმანიაში 200 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს<sup>42</sup>). თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, მას „სახელმწიფოს პასუხისმგებლობას“, „ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართალს“, „ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან“ და ა.შ. უწოდებენ, რაც ტერმინთა აღრევაზე მიუთითებს.

ამასთან, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართალი (მისი წმინდა გაგებით) სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სამართლის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს.

### **2. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ფორმა**

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა გამოიხატება მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი

---

<sup>41</sup> Detterbeck S., Windhorst K., Sproll H., Staatshaftungsrecht, Munchen, 1999, 5.

<sup>42</sup> Otfried S, Recht der öffentlichen Ersatzleistungen - “Staatshaftungsrecht”, 2007, 9, იხ.,

<[http://www.jura.unipassau.de/fileadmin/dateien/fakultaeten/jura/lehrstuehle/seewald/skript\\_staatshaftungsrecht\\_07\\_seewald.pdf](http://www.jura.unipassau.de/fileadmin/dateien/fakultaeten/jura/lehrstuehle/seewald/skript_staatshaftungsrecht_07_seewald.pdf)> [7.02.2014].

საფუძვლების განხილვამდე, მიზანშეწონილია შევეხოთ ზიანის არსსა და ცნებას, იმის განმარტებას, თუ რა იგულისხმება ტერმინ – „ზიანში“. ადმინისტრაციული სამართალი ზიანის საკანონმდებლო დეფინიციას არ ადგენს. ზიანის საჯაროსამართლებრივი ცნების განსაზღვრისათვის შესაძლებელია მისი სამოქალაქოსამართლებრივი განმარტება გამოვიყენოთ – „ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება“<sup>43</sup>. ზიანის წარმოშობა სამოქალაქო სამართალში დაკავშირებულია:

ა) *ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობასთან, ან არა-ჯეროვან შესრულებასთან*. ასეთი ტიპის ზიანს სასამართლო პრაქტიკაში „სახელშეკრულებო“ ზიანსაც უწოდებენ, რომელიც პირს შეიძლება ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით მიადგეს. იმის გათვალისწინებით, რომ ზიანის მიყენებამდე მხარეები იმყოფებოდნენ განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობაში, პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის ხელშეკრულების პირობებით, ან იმ კანონით განისაზღვრება, რომელიც მოცემულ ურთიერთობებს აწესრიგებს;

ბ) *ისეთ შემთხვევასთან, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებან ვალდებულებით ურთიერთობაში*. ასეთი ტიპის ზიანს სასამართლო პრაქტიკაში „არასახელშეკრულებო“ ზიანს უწოდებენ. ამ სახის ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან წარმოიქმნება.<sup>44</sup>

გერმანულ სამართალში ზიანს შემდეგნაირად განმარტავენ: „ზარალი, დაზიანება შეიძლება ქონებრივ დაზიანებაში გამოიხატოს, როდესაც არსებობს ქონების სახით მიყენებული ზარალი“<sup>45</sup>. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, შეიძლება გამოვეყოთ ზიანის ანაზღაურების საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი საფუძვლები.

---

<sup>43</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი 2001, 378.

<sup>44</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 378.

<sup>45</sup> Dettenberk S., Allgemeine Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, München, 2005, 349.

## 2.1. ზიანის ანაზღაურების საკონსტიტუციოსამართლებრივი საფუძველი

ქართული კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის კუთხით დაფუძნებულია საკონსტიტუციოსამართლებრივ საწყისებზე. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით: „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველ ორგანოთა მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისი სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“.

აღნიშნული ნორმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველებთან მიმართებით საკონსტიტუციო ჩარჩოს ქმნის, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ჩადენილ ქმედებებთან დაკავშირებით.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ დღევანდელი სახით არსებული რედაქცია 2010 წლის 15 ოქტომბრის საკანონსტიტუციო ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა. მანამამდე არსებული ნორმა კი შემდეგ მოწესრიგებას გვთავაზობდა: „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველ ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან“. როგორც ჩანს, მოხდა სახელმწიფოს მხრიდან მიყენებული „ზარალის“ ანაზღაურების სახსრების დიფერენცირება.

ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ ნორმაში საუბარია „ზარალის“ ანაზღაურებაზე, რაც, ერთი შეხედვით, საკანონმდებლო ხარვეზს უნდა იყოს. ზოგადად, კანონის ხარვეზს ის შემთხვევა წარმოადგენს, როდესაც სამართლის ნორმა ისეთ ურთიერთობას არ მოიცავს, რომელიც სამართლიანობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ამ კანონის მოწესრიგების სფერო უნდა ყოფილიყო.<sup>46</sup> თუმცა, ასეთ შემთხვევებში, „გამოსავალი“ კანონის განმარტება იქნება. კანონის განმარტების მიზნით გამოყოფენ არგუმენტაციის ოთხ ძირითად საშუალებას: გრამატიკულ, ისტორიულ, სისტემურსა

<sup>46</sup> ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მთარგმნელი თოთლაძე ლ., რედ. ტურავა მ., მიუნხენი, 2006, 84.

და ტელელოგიურ განმარტებას.<sup>47</sup> მოცემულ შემთხვევაში, გრამატიკული განმარტება ნაკლებად გამოდგება და უმჯობესია, ნორმა სისტემური ან ტელელოგიური რედუქციის საფუძველზე განიმარტოს. ვინაიდან, თუ კონსტიტუციის ამ კონკრეტულ ნორმას გრამატიკულად (ანუ სიტყვასიტყვით) განვმარტავთ, მივიღებთ, რომ სახელმწიფოს მხოლოდ „ზარალის“ და არა „ზიანის“ ანაზღაურების ვალდებულება აქვს. ზარალი (ზარალისა) მომდინარეობს არაბული ენიდან და ნიშნავს [არაბ. „ზარარ“] ქონებრივ დანაკარგს, დანაკლისს.<sup>48</sup> ხოლო „ზიანი-ი (ზიანისა) ცუდი რამ, ავი რამ, რაც ვისმე ან რასმე შეემთხვა ან შეამთხვიეს – ვნება, ზარალი, დანაკლისი“<sup>49</sup>. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით კი, არ არსებობს ამ ორი ტერმინის ზუსტი დეფინიცია. ქართველი ცივილისტები, როგორც ზემოთ ითქვა, სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში აღნიშნავენ, რომ: „ზიანი სამოქალაქო სამართალში არის ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება“<sup>50</sup>. ამგვარად, ზიანი შეიძლება განიმარტოს, როგორც პირის უფლების ან კეთილდღეობის განადგურება, შემცირება და სხვა სახით ხელყოფა, რაც შეიძლება მიმართული იყოს ქონების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივის, ღირსების და ა.შ მიმართ.<sup>51</sup> აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ „ზიანის ანაზღაურება“ – ეს არის ბევრად უფრო ფართო ტერმინი, რომელიც თავის თავში მოიცავს ზარალის (რომელიც ძირითადად ქონებრივ კომპენსაციასთან უნდა ასოცირდებოდეს) ანაზღაურებას, ქონებრივ და არა-ქონებრივ ზიანს, ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანს და ა.შ.<sup>52</sup>

---

<sup>47</sup> ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდთა, თბილისი, 2009, 61.

<sup>48</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, იხ., <<http://www.ena.ge/explanatory-online>> [12/06/13].

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი 2001, 378.

<sup>51</sup> ადგიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 326.

<sup>52</sup> საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის №2/3/423 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ადგენს ძირითად და საბაზისო დანაწესს, რომელთა თანახმადაც, შესაძლებელი უნდა იყოს ადამიანის ძირითადი უფლების დაცვა და მოქმედი ევროპული სტანდარტების მიხედვით, ის მოქცეულია და ასოცირდება „სამართლიანი სასამართლოს“ ნაწილად.

## **2.2. ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულსამართლებრივი საფუძველი**

კონსტიტუციის 42-ე მუხლით დადგენილი პრინციპის, სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებას ემსახურება სზაკ-ის XIV თავი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესს განსაზღვრავს. სზაკ-ის 208-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო; თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.“ აღნიშნული ნორმით დადგენილი წესი არის ის ძირითადი მოცემულობა, რომელიც საქართველოში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანისას მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს საფუძველად უდევს. თუ ვინ იგულისხმება აქ ჩამოთვლილ სუბიექტებში და რა წესით ხდება მათთვის პასუხისმგებლობის დაწესება, – ამაზე საუბარი მოგვიანებით გვექნება.

---

2008 წლის 17 ივნისის №2/2/438 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ვახტანგ ცქიფურიშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივლისის №1/5/489–498 განჩინება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ოთარ კვეციტაძე და იზოლდა რჩეულიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.



სზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, ასევე, დადგენილია, რომ „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება, უპირველესად, სზაკ-ით დადგენილი განსაკუთრებული წესი. ხოლო ის საკითხები, რომელთაც არ აწესრიგებს სზაკ-ი წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით“<sup>53</sup>. აქედან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულსამართლებრივი საფუძვლები შეგვიძლია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანისას პასუხისმგებლობის დაკისრების უმთავრეს, სპეციალურ დანაწესად მივიჩნიოთ, ხოლო სამოქალაქო სამართლის დებულებები, ადმინისტრაციულის დამხმარე ნორმებად.

### 2.3. ზიანის ანაზღაურების სამოქალაქოსამართლებრივი საფუძველი

როგორც წინა თავში აღინიშნა, ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულსამართლებრივი საფუძველი თავადვე უშვებს სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.<sup>54</sup> გერმანული ადმინისტრაციული სამართალი საერთოდ არ აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას მის მიერ მიყენებული ზიანის გამო. თუკი აღნიშნულს ექნება ადგილი, დავის გადაწყვეტა ხდება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას ზიანის მიმყენებლებისათვის.<sup>55</sup> თუმცა, ქართულ კანონმდებლობაში, ადმინისტრაციული სამართლის ეს ინსტიტუტი სამოქალაქო კოდექსის ნორმებითაც წესრიგდება. კერძოდ, ამ საკითხს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ეხება, რომელიც ადგენს, რომ „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს“. როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს პასუხისმ-

<sup>53</sup> ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 145.

<sup>54</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 207-ე მუხლი.

<sup>55</sup> BürgerlichesGesetzbuch, §276, §278.

გებლობის საკითხი დადგენილია, ასევე, სამოქალაქო კოდექსით, რომელსაც შემოაქვს ახალი ცნება – სოლიდარული პასუხისმგებლობა. არსებობს მოსაზრება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმი არის ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დაკონკრეტება.<sup>56</sup> თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დამდგენი სამოქალაქო და ადმინისტრაციული ნორმების ანალიზით, ასევე, შესაძლებელია იმის დაშვება, რომ ეს ორი ინსტიტუტი არათუ ერთმანეთის დამაკონკრეტებელი და შემავსებელი, არამედ ერთმანეთის კონკურენტი ნორმებია, რომლებიც განსხვავებულად აწესრიგებენ ერთსა და იმავე საკითხს, რაც პრაქტიკაში გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს.

ზიანის ანაზღაურების სამოქალაქოსამართლებრივ ინსტიტუტში, აგრეთვე, მოიაზრება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, რომელიც ზიანის ცნებას გვაძლევს და პასუხისმგებლობის საკითხის დადგომას განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს უკავშირებს. როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად დგინდება, სასამართლოები დავის გადაწყვეტისას აქტიურად იყენებენ სსკ-ის 992-ე მუხლს. სსკ-ის 1005-ე მუხლი კი ზიანის ანაზღაურებას უკავშირებს მხოლოდ განზრახვით, ან უხეში გაუფრთხილებლობით სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევას. როგორც ჩანს, სსკ-ის 992-ე მუხლი ადგენს ამ ნორმისაგან განსხვავებულ ქცევის წესს. შესაბამისად, შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული შეუსაბამობა ზიანის ანაზღაურების 992-ე მუხლთან დაკავშირებისას, რაც მომდევნო თავებში უფრო დეტალურად იქნება განხილული.

---

<sup>56</sup> ალექსიშვილი ზ., ვარდიანაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 324.

### 3. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სახეები; სუბიექტები, რომელთა მოქმედების შედეგად შეიძლება ზიანი დადგეს

ზიანის ანაზღაურებელ სუბიექტთან დაკავშირებით თეორიაში რამდენიმე მიდგომა არსებობს. გამოყოფენ საჯარო მოხელეთა, სახელმწიფო და სოლიდარულ პასუხისმგებლობას.<sup>57</sup>

#### 3.1. მოხელის მიერ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი

საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად, საჯარო მოხელე, რომლის ქმედებამაც ზიანი გამოიწვია, ზიანის ანაზღაურებაზე უშუალოდ პასუხისმგებელია. პასუხისმგებლობის აღნიშნული მოდელით სახელმწიფო გარკვეულწილად თავიდან იცილებს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რომელიც პირთა გარკვეულ ჯგუფს მისი მოხელის ქმედებით მიადგა, რაც გაუპართლებელია, ვინაიდან სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ, თუკი სახელმწიფოს სახელით მოქმედმა მოხელემ მას მიაყენა ზიანი, ანაზღაურება მოითხოვოს სწორედ იმისგან, ვისი ინტერესის გამოც დაზარალდა. გარდა ამისა, პასუხისმგებლობის ამ ფორმის არსებობის შემთხვევაში, დაზარალებული პირების კანონიერი ინტერესი ზიანის ანაზღაურებაზე ეჭვის ქვეშ დგება, რადგანაც ზიანის მიმყენებელი სახელმწიფო მოხელე შეიძლება იყოს გადახდისუნარო, ან მისმა მოქმედებამ გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომელიც მოხელის ქონების სრული რეალიზაციის შემთხვევაშიც კი არ იყოს საკმარისი ასანაზღაურებლად. ამ მოვლენას ორი უარყოფითი მხარე აქვს: ერთი ის, რომ დაზარალებულმა შეიძლება ვერ მოახდინოს ზიანის ანაზღაურების მიღება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს სახელით, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოხელე მას ზიანს აყენებს. სახელმწიფოს სახით დაზარალებულის წინაშე უნდა იდგეს გადახდისუნარიანი სუბიექტი, მოქალაქე არ შეიძლება იყოს დამოკიდებული საჯარო მოხელის ფინანსურ შესაძლებლობებზე;<sup>58</sup> ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ მოხელე საკმაოდ დიდ წნეხის ქვეშ იმყოფ-

<sup>57</sup> ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 143.

<sup>58</sup> იქვე, 144.

ფება და ხშირად, შეიძლება გაუჭირდეს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება იმ მოტივით, რომ შეცდომის შემთხვევაში იგი შესაძლოა საერთოდ გაკოტრდეს. საჯარო მოხელის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამკვიდრება გამოიწვევდა შიშსა და დაბნეულობას საჯარო მოხელეებში; ზიანის წარმოშობის რისკი და მისი ანაზღაურების ვალდებულების შიში უბიძგებს საჯარო მოხელეს, გამონატოს ნაკლები ინიციატივა და თავი შეიკავოს ქმედითი ღონისძიების განხორციელებისაგან, რაც, საბოლოო ჯამში, მმართველობითი აპარატის ფუნქციონირების შეფერხებას ნიშნავს.<sup>59</sup>

აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობის ეს ფორმა მიუღებელი უნდა იყოს თანამედროვე სახელმწიფოსთვის. პასუხისმგებლობის აღნიშნულ ფორმას არც ქართული სამართალი ცნობს.

### 3.2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საჯარო მოხელის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგებზე და ზიანის შემთხვევაში, იკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. დასავლურმა სამართლებრივმა სისტემებმა აღიარეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების (საჯარო მოსამსახურეების) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.<sup>60</sup> სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დადგენილია გერმანულ სამართლებრივ სისტემაშიც. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 278-ე პარაგრაფით განსაზღვრულია, რომ ზიანის მიმყენებელს ბრალი მიუძღვის მისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირების წინაშე, რომელთაც იგი თავისი ვალდებულებების შესასრულებლად ემსახურება იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც მიაყენა მან ზიანი მესამე პირებს. ზიანის მიმყენებლებს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება თავიანთი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. ეს წესი, ასევე, ეხება ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე მოხელის პასუხისმგებლობის საკითხს, რაც ისეა გაგებული, რომ ორგანომ პასუხი უნდა აგოს მისი მოხელის მიერ მიყენებული ზიანისათვის, ხოლო მოხელეს სახ-

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> იქვე.

ელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობა იმ მოცულობით ეკისრება, რა მოცულობითაც სახელმწიფომ პასუხი აგო მის მიერ მიყენებული ზიანის გამო.<sup>61</sup>

როგორც ამ მოცემულობებიდან ჩანს, სახელმწიფო პასუხისმგებლობას იღებს მისი მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ხოლო ზიანის მიმყენებელი სუბიექტები, რომელთა გამოც პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება, შეიძლება ის ფიზიკური პირები იყვნენ, რომლებიც დასაქმებულნი არიან ადმინისტრაციულ ორგანოებში და მოქმედებენ მათი სახელით. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპი, გერმანული მაგალითის მიხედვით, გულისხმობს: სახელმწიფოს ვალდებულებას, აანაზღაუროს მისი სახელით მოქმედი პირის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისას მიყენებული ზიანი, იქნება ეს საჯარო მოხელე, რომელიც მუშაობს ადმინისტრაციულ ორგანოში, თუ დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი; ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებას, მოითხოვოს ზიანის მიმყენებლისგან იმ ოდენობით ზიანის ანაზღაურება, რა ოდენობითაც სახელმწიფომ მისი ქმედების გამო აგო პასუხი.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპი მოცემულია ქართულ სამართალში. სზაკ-ის 208-ე მუხლი ადგენს, რომ „სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო“. ამ ნორმის განმარტებიდან ჩანს, რომ ქართული სამართლებრივი სივრცე, გერმანული და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემების მსგავსად, აღიარებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპს, ადმინისტრაციული ორგანოების სახელით მოქმედი პირების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას. შესაბამისად, ქართული კანონმდებლობა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უკავშირებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოხდეს იმის განსაზღვრა, თუ რა იგულისხმება ადმინისტრაციულ ორგანოებში.

---

<sup>61</sup> Lochte-Handjery K., Das verschulden im Rahmen des Amtshaftungsanspruchs – zeitgemäße Haftungsvoraussetzung oder relikte lang vergangener Tage? JUS-2001, 1186-1189.

ამისი დადგენა იმის შესაძლებლობას მოგვცემს, რომ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრა მოვახდინოთ.

აღსანიშნავია, რომ გერმანულ სამართალში არსებობს ტერმინი „საჯარო ხელისუფლების მატარებელი“, რაც იმას გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნევა ყველა ის პირი, ვინც აღჭურვილია საჯარო სამართლებრივი ძალაუფლებით, ანუ ვისაც გადაცემული აქვს საჯარო ძალაუფლების ტარების და გამოყენების უფლება.<sup>62</sup> აღნიშნული მიდგომა სწორია და გამართლებული. ეს შინაარსია ჩადებული სზაკ-ის 208-ე მუხლის იმ წინადადებაში, სადაც საუბარია, რომ თანამდებობის პირების და სხვა სახელმწიფო მოსამსახურეების გარდა, თავად სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოც შეიძლება იყოს ზიანის მიმყენებელი სუბიექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ქვეშ ისევე, როგორც გერმანულ სამართალში, მიჩნეული უნდა იქნას ყველა ის პირი, რომელიც აღჭურვილია საჯარო სამართლებრივი ძალაუფლებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი – „სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები“, გარკვეულ დაბნეულობას ბადებს, საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვა კავშირში არ არის სახელმწიფო ორგანოს ცნებასთან, რაც მომდევნო თავებში გამოჩნდება კიდევ.

ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებას იძლევა სზაკ-ის მე-2 მუხლი: „ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. განვიხილოთ ის დაწესებულებები, რომლებიც ადმინისტრაციულ ორგანოებად მიიჩნევიან.

### **3.2.1. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოები**

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ის ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო

---

<sup>62</sup> Detterbeck S., Windthorst K., Sproll H., Staatshaftungsrecht, Munchen, 2000, 93.

ხელისუფლებას, სზაკ-ის ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოებად მიიჩნევიან. თუმცა, კანონით, ასევე, დადგენილია, რომ მათზე სზაკ-ის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მოქმედებენ, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ხოლო მათ მიერ საკონსტიტუციო უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევებზე მისი მოქმედება არ ვრცელდება.<sup>63</sup> მაგალითად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შედეგად თუკი ვინმეს მიაღმა ზიანი, ამ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სზაკ-ით დადგენილი ზიანის ანაზღაურების მექანიზმი, ვინაიდან ასეთ დროს პარლამენტი მოქმედებს, როგორც კონსტიტუციური ორგანო, ვინაიდან კანონის მიღება მისი საკონსტიტუციო უფლებამოსილებაა. სზაკ-ის თანახმად,<sup>64</sup> პარლამენტს პასუხისმგებლობა შესაძლებელია დაეკისროს, როდესაც ზიანის მიყენება მისი სახელით მოქმედი პირების მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებისას ხდება.

აღმასრულებელი ხელისუფლება საქართველოში ხორციელდება მთავრობის მიერ.<sup>65</sup> სწორედ მთავრობის შემადგენლობაშია მოქცეული ადმინისტრაციული ორგანოების ძირითადი ნაწილი. საქართველოს მთავრობა, რომელიც პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან შედგება, როგორც კოლექტიური ორგანო, ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნევა. საქართველოს კონსტიტუციით, ასევე, განსაზღვრულია მთავრობის შემადგენლობაში სამინისტროს არსებობა, „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად“<sup>66</sup>. სამინისტროს გარდა, მთავრობის შემადგენლობაში, ასევე, შეიძლება შედიოდეს სახელმწიფო მინისტრი, რომელიც „ინიშნება კონსტიტუციით დადგენილი წესით განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი ამოცანების შესასრულებლად“<sup>67</sup>.

---

63 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე მუხლის მეორე ნაწილი.

64 იქვე, მესამე მუხლის მესამე ნაწილი.

65 საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

66 იქვე, 81<sup>2</sup>-ე მუხლი.

67 იქვე.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამინისტროების ჩამონათვალს, რომლებიც ამ დროისათვის მოქმედებს. სამინისტროს შემადგენლობა, საკუთრივ სამინისტროს გარდა, მოიცავს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსაც.<sup>68</sup> კიდევ ერთი სტრუქტურა, რომელიც შედის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობაში, ეს არის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ორგანო, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობას უზრუნველყოფს.<sup>69</sup> როგორც ვხედავთ, აღმასრულებელი ხელისუფლებაში შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც აღჭურვილნი არიან საჯარო სამართლებრივი ძალაუფლებით: საქართველოს მთავრობა, სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაცია.

ადმინისტრაციული ორგანოების რანგში გადის, ასევე, საქართველოს პრეზიდენტი იმ შემთხვევებში, როცა იგი ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებს, რისთვისაც, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია,<sup>70</sup> რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოდ უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულია სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოები: საერთო სასამართლოების სისტემა და საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.<sup>71</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს საერთო სასამართლოების სისტემას: „საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო“. სასამართლო სისტემაში საქმის წარმოება მიმდინარეობს ამ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, თუმცა, როდესაც

---

<sup>68</sup> „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი.

<sup>69</sup> საქართველოს კონსტიტუციის 81<sup>3</sup>-ე მუხლი.

<sup>70</sup> იქვე, 77-ე მუხლი.

<sup>71</sup> იქვე, 83-ე მუხლი.



სასამართლო ხელისუფლების ორგანოები მოქმედებენ, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, მათზე სზაკ-ით დადგენილი წესი ვრცელდება. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზე.

ადმინისტრაციულ ორგანოებად მიიჩნევა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი შემდეგი ორგანოები: საქართველოს ეროვნული ბანკი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეროვნული უშიშროების საბჭო, სახალხო დამცველი.<sup>72</sup>

ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან საჯარო-სამართლებრივი ძალაუფლებით, „აჭარის ავტონომიურის რესპუბლიკის სტატუსი შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, რომელიც კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე, მიეკუთვნებიან: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სამინისტროები.<sup>73</sup> გარდა ამისა, ადმინისტრაციული ორგანოების რიცხვს მიეკუთვნებიან, ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და აფხაზეთის მთავრობა, სამინისტროებისა და მისი სტრუქტურული ერთეულების ჩათვლით.<sup>74</sup>

ადმინისტრაციული ორგანოების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია – ცენტრალური, საოლქო, საუბნო საარჩევნო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისია/კომისიები,<sup>75</sup> ასევე, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია.<sup>76</sup>

---

<sup>72</sup> იქვე, 43-ე, 95-ე, 97-ე, 99-ე მუხლები.

<sup>73</sup> „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი.

<sup>74</sup> აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 93-ე მუხლი, III-ე მუხლი.

<sup>75</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-7 მუხლი.

<sup>76</sup> საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 10 მაისის №296 ბრძანებულება „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ“.

### 3.2.2. საჯარო სამართლის იურიდიული პირები

საჯარო სამართლის იურიდიული პირები ადმინისტრაციული ორგანოების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენენ. აღნიშნული პირების შექმნისა და საქმიანობის ზოგად წესს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომლის თანახმადაც, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას“<sup>77</sup>. როგორც კანონის ამ დანაწესიდან ჩანს, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ზუსტად განსაზღვრული რაოდენობა არ არსებობს. მათი შექმნის ან გაუქმების უფლება მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრულ სუბიექტებს აქვს: საქართველოს პარლამენტს, კანონის მიღებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესახებ; საქართველოს პრეზიდენტს – ბრძანებულებით; სახელმწიფო მმართველობის ორგანოს – ადმინისტრაციული აქტით, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში; ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად; ქ. თბილისის მთავრობის ნორმატიული აქტით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად. საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება ერთობლივად

<sup>77</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

დააფუძნოს რამდენიმე სახელმწიფო მმართველობის ორგანო.<sup>78</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობა კონტროლდება იმ სახელმწიფო, ადგილობრივი ან ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, რომლის მმართველობის სფეროშიც შედიან ისინი.<sup>79</sup> გამონაკლისია საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ეროვნული კომისიები, რომლებიც კანონის თანახმად, დაფუძნებულნი არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, თუმცა კანონით დადგენილია, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, ეს არის – „სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში“<sup>80</sup>.

### 3.2.3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

ადმინისტრაციული ორგანოების კიდევ ერთ სახეობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები წარმოადგენენ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არსებობის პრინციპი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ადგენს, რომ „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“<sup>81</sup>. კონსტიტუცია, ასევე, განსაზღვრავს თვითმმართველობის ორგანოთა შექმნისა და საქმიანობის ზოგად წესს – „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“<sup>82</sup>. უშუალოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესი დადგენილია „ადგი-

<sup>78</sup> იქვე, მე-5 მუხლი.

<sup>79</sup> იქვე, მე-11, მე-12 მუხლები.

<sup>80</sup> „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 მუხლები.

<sup>81</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლი.

<sup>82</sup> იქვე, 101<sup>1</sup>-ე მუხლი.

ლობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებში შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოებს მოიაზრებს: მუნიციპალიტეტის საკრებულო, გამგებელი/მერი, თბილისის საკრებულო, თბილისის მერია, თბილისის მთავრობა, თბილისის გამგეობები.<sup>83</sup>

სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი გვაძლევს ადმინისტრაციული ორგანოების განმარტებას. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოებად, სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებთან და დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელ კერძო პირებთან ერთად, ცალ-ცალკეა გამოყოფილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად კი, „თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი, ჰყავს არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ – მუნიციპალიტეტის ორგანოები) და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია“<sup>84</sup>. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზი, ვინაიდან, თუკი ადგილობრივ თვითმმართველობას კანონით მინიჭებული აქვს დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი, იგი უნდა განიხილებოდეს არა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან ცალკე მდგომი ადმინისტრაციული ორგანო, არამედ, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, სზაკ-ის ჩანაწერი, სადაც ცალ-ცალკე ადმინისტრაციულ ორგანოებად არიან გამოყოფილი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, შეუსაბამობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან. აღნიშნული ხარვეზის გასწორების რამდენიმე გზა არსებობს:

---

<sup>83</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 23-ე, 48-ე, 65-ე და მე-80 მუხლები.

<sup>84</sup> იქვე, მე-2 მუხლი.

ა) სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოქცეული იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნების ქვეშ – „ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. ნორმის ამგვარი ფორმულირებით უკვე ჩანს, რომ კანონმდებელი თვითმმართველობის ორგანოებს მოიაზრებს არა დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ერთ-ერთ სახედ.

ბ) მეორე გზა, ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის სზაკ-ის ამ ნორმიდან საერთოდ ამოღება. ამ შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ადმინისტრაციულ ორგანოდ მიჩნევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ადმინისტრაციული ორგანოების ცნების ქვეშ ავტომატურად მოაქცევს – „ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“.

გ) მესამე და ყველაზე მისაღები გზა, ეს არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ შესახებ საქართველოს კანონის იმგვარი ჩამოყალიბება, რომ იურიდიული პირების ერთმანეთისაგან განსხვავება მათი შესასრულებელი ფუნქციების მიხედვით ზღებოდეს. აღნიშნულის თქმის საფუძველს იძლევა გერმანიის სამართლებრივ სისტემაში ამ პირების დიფერენცირება მათი ფუნქციებიდან გამომდინარე. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის სახელმწიფოს მიერ შექმნილი დაწესებულება, საჯარო მიზნების განსახორციელებლად და აღჭურვილია მმართველობითი საშუალებებით. შესაძლებელია, მუნიციპალური, კორპორაციული, პერსონალური,

გაერთიანების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის არსებობა<sup>85</sup>. შესაბამისად, თუკი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონით დადგინდება განსხვავებები ამ პირებს შორის და მათ შორის ერთ-ერთი ადგილობრივი თვითმმართველობა იქნება, პრობლემაც მოიხსნება.

### **3.2.4. ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას**

ადმინისტრაციულ ორგანოდ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, კანონმდებლობის თანახმად, ასევე, შეიძლება მიჩნეულ იქნენ სხვა პირებიც, რომლებიც კანონით დადგენილი წესით, მოახერხებენ „საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვას“. ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოები, კანონის საფუძველზე, ახდენენ თავიანთი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების დელეგირებას კერძო პირებზე. აღსანიშნავია, რომ ამ უფლებით აღჭურვა შეუძლია როგორც ფიზიკურ, ასევე, ნებისმიერ სხვა კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რეესტრი „უფლებამოსილია ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით. აღნიშნულ შემთხვევაში განცხადება და თანდართული მონაცემები შეიძლება წარდგენილი იქნეს, ასევე დოკუმენტი შეიძლება გაიცეს ნებისმიერი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის ან ავტორიზებული პირის მეშვეობით“<sup>86</sup>; „სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს უშუალოდ ან თავისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურებისა და ავტორიზებული პირების მეშვეობით“<sup>87</sup>; „ავტორიზაციასთან დაკავშირებული საფასურის განაკვეთი ავტორიზაციის ფარგლების გათვალისწინებით განისაზღვრება სააგენტოსა და ავტორიზებულ პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე“<sup>88</sup>. ავტორიზებული პირი განმარტებულია, როგორც „სააგენტოს მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობის

---

<sup>85</sup> Badura P., Burgi M., Ehlers D., Erichsen H., Ossenbuhl F., Papier H., Rufner W., Allgemeines Verwaltungsrecht, Berlin, 2002, 818.

<sup>86</sup> „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

<sup>87</sup> იქვე, მე-3 მუხლი.

<sup>88</sup> იქვე, მე-7 მუხლი.

საფუძველზე საჯარო რეესტრის წარმოებაზე ან/და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ამ კანონის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობით<sup>89</sup>. ეს ნორმები იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება კანონის საფუძველზე, სხვა პირები საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებებით აღიჭურვონ. ამ შემთხვევაში, როდესაც ისინი ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციებს ასრულებენ, თავადაც გვევლინებიან, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები.

კიდევ ერთ მაგალითად, როდესაც ფიზიკური პირი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით აღიჭურვება, შეგვიძლია მოვიყვანოთ კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „კერძო აღმასრულებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“<sup>90</sup>. ამავე კანონით დადგენილია ლიცენზიის მოპოვების წესი და პირობები. შესაბამისად, თუკი ფიზიკური პირები დააკმაყოფილებენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს და აიღებენ კერძო აღმასრულებლის ლიცენზიას, ისინი აღიჭურვებიან საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით და შესაბამისად, ეს კერძო პირები მათი საქმიანობის განხორციელებისას გამოდიან, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები. სხაკ-ის 208-ე მუხლის მიერ დადგენილია, რომ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დელეგირების საფუძველზე მისი სახელით მოქმედი კერძო პირის მიერ მიყენებული ზიანის გამო. როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტების მოქმედების გამო, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

დელეგირების საფუძველზე, საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვა, ასევე, შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კერძო პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამის მაგალითია, ქ. თბილისის მერიასა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც, სხვა პირობებთან ერთად, ით-

<sup>89</sup> იქვე, 32<sup>1</sup>-ე მუხლები.

<sup>90</sup> „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14<sup>6</sup> მუხლი.

ვალისწინებს კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვასაც, რაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, უბილეთოდ მგზავრობის გამო, დაჯარიმების უფლებაში ვლინდება. აღნიშნულის უფლება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, მინიჭებული აქვს მერიას,<sup>91</sup> რომელმაც ეს მისი საჯარო უფლებამოსილების განხორციელება კერძო პირს გადასცა. ამ შემთხვევაში, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ გვევლინება ადმინისტრაციულ ორგანოდ, როცა იგი ასრულებს მისთვის მინიჭებულ ამ უფლებამოსილებას.

სზაკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ასევე, ადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დავალების საფუძველზე მისი სახელით მოქმედი კერძო პირის მიერ მიყენებული ზიანის გამო. მაგალითად, როდესაც კერძო პირები ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებენ რაიმე ტიპის სამუშაოებს, არემონტებენ გზებს, ამწვანებენ გარემოს, გაჰყავთ ელექტროგადამცემი ხაზები. თუკი ამ დროს ისინი მესამე პირებს ზიანს მიაყენებენ, მათ გამო პასუხისმგებლობა, ზემოთ მოყვანილი ნორმის საფუძველზე, ეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა სახელითაც მოქმედებენ ისინი.

სზაკ-ის 208-ე მუხლით დადგენილი შემთხვევა გულისხმობს ზიანის ანაზღაურებას ფულადი კომპენსაციის სახით, სხვა შემთხვევაში, თუკი არსებობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, ან უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, უკან დაბრუნების მოთხოვნის შესაძლებლობა, ამ ინსტიტუტის გამოყენება გამოირიცხება. ეს პრინციპი მოცემულია გერმანულ სამართალშიც: „სახელმწიფოს მხრიდან გაწეული გარკვეული ქმედებისთვის ზარალის ანაზღაურების სახე და მოცულობა მხედველობაში ფულის გათვალისწინებით (მატერიალური სახით) მიიღება“<sup>92</sup>.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ ორ-

---

<sup>91</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე და 209<sup>3</sup>-ე მუხლები.

<sup>92</sup> Dettenberk S., Allgemeine Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, München, 2005, 370.



განოებს, რომელთა მოქმედებას მოჰყვა ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ადინისტრაციულ ორგანოს იმ შემთხვევაშიც ეკისრება, თუკი საჯარო უფლებამოსილების განმანორცილებელი პირი, დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე, ზიანს აყენებს სხვა პირებს, ან მესამე პირი, რომელიც მოქმედებს ორგანოს სახელით, მისი მოვალეობის შესრულებისას, სხვას მიაყენებს ზიანს.

აღსანიშნავია, რომ ზიანის ანაზღაურებისას, საქართველოს კონსტიტუციისა და სზაკ-ის მუხლების ანალიზზე, გამოიყოფა ორგანოთა სამი კატეგორია. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს. როგორც ვხედავთ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოების, ან მათ მიერ დელეგირებული ან დავალების საფუძველზე მოქმედი პირების მიერ ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ან ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებიდან, ხოლო სხვა შემთხვევებში – საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან. თუმცა სზაკ-ი, კონსტიტუციისაგან განსხვავებით, არ ადგენს ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რაც კონსტიტუციასთან შესაბამისობის კუთხით, გარკვეულ გაუგებრობას ქმნის. ამიტომ მიზანშეწონილია, თუკი სზაკ-ით მოხდება ავტონომიური რესპუბლიკების დავალდებულება ზიანის ანაზღაურებაზე მათ ან მათ მიერ დელეგირებული, ან დავალების საფუძველზე მოქმედი პირების მიერ მიყენებული ზიანის შემთხვევაში.

### **3.3. სოლიდარული პასუხისმგებლობა**

სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად, „საჯარო მოხელე, რომლის ქმედებამაც გამოიწვია ზიანი, სახელმწიფოსთან ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს“<sup>93</sup>. პასუხისმგებლობის ეს პრინციპი, საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის პრინციპის მსგავსად, საკმაოდ მოძველებულია და პრაქტიკაში თითქმის აღარ გამოიყენება. იგი, თავისი ში-

<sup>93</sup> ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 143.

ნარსით, საკმაოდ ახლოსაა საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის პრინციპთან. ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, აქაც საჯარო მოხელეს ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანის გამო, იმ განხილვებით, რომ მას ეკისრება არა სრულად, არამედ მხოლოდ ზიანის ნაწილის ანაზღაურება. ზიანის დარჩენილ ნაწილს კი ანაზღაურებს სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, სოლიდარული პასუხისმგებლობის განხილვისას, მის უარყოფით მხარეებზე საუბრისას, შეიძლება გამოითქვას იგივე მოსაზრება, რაც საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობის დროს. კერძოდ, პასუხისმგებლობის ამ ფორმის არსებობის შემთხვევაში, დაზარალებული პირების კანონიერი ინტერესი ზიანის ანაზღაურებაზე ეჭვქვეშ დგება, ვინაიდან ზიანის მიყენებელი სახელმწიფო მოხელე შეიძლება გადახდისუუნარო იყოს ან მისმა მოქმედებამ გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომელიც მოხელის ქონების სრული რეალიზაციის შემთხვევაშიც კი არ იყოს საკმარისი. ამ მოვლენას ორი უარყოფითი მხარე აქვს: ერთი ის, რომ სახელმწიფოს სახით, დაზარალებულის წინაშე უნდა იდგეს გადახდისუუნარიანი სუბიექტი, მოქალაქე არ შეიძლება საჯარო მოხელის ფინანსურ შესაძლებლობებზე იყოს დამოკიდებული;<sup>94</sup> ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ მოხელე საკმაოდ დიდი წნეხის ქვეშ იმყოფება და ხშირად, შეიძლება გაუჭირდეს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება იმ მოტივით, რომ შეცდომის შემთხვევაში, იგი შეიძლება საერთოდ გაკოტრდეს. საჯარო მოხელის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამკვიდრება შიშსა და დაბნეულობას გამოიწვევდა მათში. ზიანის წარმოშობის რისკი და მისი ანაზღაურების ვალდებულების შიში საჯარო მოხელეს უბიძგებს, გამოხატოს ნაკლები ინიციატივა და თავი შეიკავოს ქმედითი ღონისძიების განხორციელებისაგან, რაც, საბოლოო ჯამში, მმართველობითი აპარატის ფუნქციონირების შეფერხებას ნიშნავს.<sup>95</sup> აქედან გამომდინარე, თანამეროვე სახელმწიფოსთვის პასუხისმგებლობის ეს ფორმაც მიუღებელი უნდა იყოს.

როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის მიყენებისას, საქართველოში აღიარებულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპი. თუმცა, ამ პრინციპთან ერთად, ქართული კანონმდებლობა, ასევე, აღიარებს სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც, რაც გამოიხატება

---

<sup>94</sup> იქვე.

<sup>95</sup> იქვე.

შემდეგში: სზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი კი ადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის – „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ, ვინაიდან სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპის თანახმად, სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ავტომატურად არ სპობს სახელმწიფოს წინაშე საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხს და სახელმწიფოსა და ზიანის მიმყენებელს შორის ურთიერთობა სზაკ-ით არ არის მოწესრიგებული, ზემოთ აღნიშნული ნორმის საშუალებით დგინდება პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს უფლებას აძლევს მოხელის მიერ მიყენებული ზიანის გამო გადახდელი თანხა, რეგრესის წესით ამოიღოს საჯარო მოხელისაგან.<sup>96</sup> „სოლიდარული პასუხისმგებლობა არ უნდა გავიგოთ მისი კლასიკური გაგებით, ისე რომ ზიანის მიმყენებელი ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოსთან ერთად გამოვიყვანოთ როგორც დავის ერთ-ერთი მხარე. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებში ყველა შემთხვევაში სახელმწიფო უნდა იყოს მოპასუხე მხარე, ხოლო ზიანის მიმყენებლის განზრახვა, ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც დგინდება დავაზე სამართალწარმოების განხორციელების შედეგად, სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, მოსთხოვოს ზიანის მიმყენებელ პირს ამ ზარალის რეგრესის წესით მთლიანად, ნაწილობრივ ანაზღაურება.“<sup>97</sup>

საჯარო მოხელისაგან მიყენებული ზიანის გამო, თანხის რეგრესის წესით დაბრუნება უცხო არ არის არც გერმანული სამართლისთვის. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 278-ე პარაგრაფით განსაზღვრულია, რომ

---

<sup>96</sup> ტურავა პ., წიკებლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 145.

<sup>97</sup> იქვე, 147.

ზიანის მიყენებელს ბრალი მიუძღვის მისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირების წინაშე, რომელთაც იგი თავისი ვალდებულებების შესასრულებლად ემსახურება, იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც მიაყენა მან ზიანი მესამე პირებს. ლოხტე-ჰანდიერი აღნიშნავს, რომ ეს შემთხვევა ეხება საკითხს, როდესაც ზიანის მიყენებლებს თავიანთი კანონიერი წარმომადგენლებისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წამოეშობათ.<sup>98</sup> ეს წესი, ასევე, ეხება ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე მოხელის პასუხისმგებლობის საკითხს, რაც ისეა გაგებულნი, რომ ორგანომ პასუხი უნდა აგოს მისი მოხელის მიერ მიყენებული ზიანისათვის, ხოლო მოხელეს სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც მის მიერ მიყენებული ზიანის გამო სახელმწიფომ აგო პასუხი. ანუ, ამ წესით დგინდება სახელმწიფოს უფლება – რეგრესის წესით მოითხოვოს მისი მოხელისაგან იმ ზიანის ანაზღაურება, რაც მან თვითონ განიცადა თავისივე ბრალეულიქმედების გამო.

რადგანაც რეგრესის წესით სახელმწიფოს მიერ ზიანის მიყენებელი თანამდებობის პირისაგან თანხის ამოღება სახელმწიფო პასუხისმგებლობის შემადგენელი ნაწილია, გაუმართლებელია, მისი სოლიდარული პასუხისმგებლობის მნიშვნელობით გამოყენება. აღნიშნულმა მოვლენამ სასამართლო პრაქტიკაში გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია, ვინაიდან იგი მისი სამოქალაქოსამართლებრივი მნიშვნელობით გაიგეს, რაც იმას გულისხმობს, რომ „თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება, თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში“<sup>99</sup>, რაც ჩანს კიდევ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხეების: ქ. თბილისის მერიის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სს „თბოელექტროცენტრალის“ მიერ მოსარჩელებებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი და მათ ზიანის ანაზღაურების

---

<sup>98</sup> Lochte-Handjery K., Das verschulden im Rahmen des Amtshaftungsanspruchs – zeitgemäße Haftungsvoraussetzung oder relikte lang vergangener Tage? JUS-2001, 1186-1189.

<sup>99</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 46-ე მუხლი.

ვალდებულება სოლიდარულად დააკისრა;<sup>100</sup> უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 23 სექტემბრის განჩინებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ქ. რუსთავის მერიისა და შპს „კულტურისა და დასვენების პარკისაგან“ მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას იმის გამო, რომ მისი 7 წლის შვილი პარკის ტერიტორიაზე გველმა დაკბინა და მიაჩნდა, რომ აღნიშნული განპირობებული იყო პარკის თანამშრომელთა უმოქმედობის გამო. საკასაციო სასამართლომ ქ. რუსთავის მერიასა და შპს „კულტურისა და დასვენების პარკს“ პასუხისმგებლობა სოლიდარულად დააკისრა.<sup>101</sup>

სანტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი განჩინება. საკასაციო პალატა დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელებს ზიანი მიადგათ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისა და ამავე რაიონის შს სამმართველოს მე-7 განყოფილების ბრალეული ქმედებების გამო, რაც გამოიხატა იმაში, რომ გამგეობის თანამშრომლებმა პოლიციის დახმარებით ჯიხური გაანადგურეს. ამ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის პოზიცია დასაბუთებული იყო და ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისა და ამავე რაიონის შს სამმართველოს მე-7 განყოფილებას მის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ პასუხისმგებლობა.<sup>102</sup> როგორც სასამართლოს ამ გადაწყვეტილებებიდან ჩანს, სოლიდარული პასუხისმგებლობის ცნების ზიანის ანაზღაურების ნაწილში დანერგვამ გამოიწვია ის, რომ სასამართლოები მას იხილავენ არა როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეგრესის წესით მოხელისაგან თანხის ამოღების საშუალებას, არამედ როგორც ზიანის ანაზღაურების შემადგენელ ინსტიტუტს, რაც კანონმდებლობით დადგენილ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შინაარსს არ შეესაბამება. ამის კიდევ ერთი მაგალითია

---

<sup>100</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის №586-507(კ-04) გადაწყვეტილება.

<sup>101</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 23 სექტემბრის №ბს-205-172(კ-04) გადაწყვეტილება.

<sup>102</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 25 ივლისის №ბს-250-195(კ-05) განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობა ამ საკითხთან მიმართებით: „საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ასევე გამოირიცხება მოსარჩელის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის გავრცელება. აღნიშნულ მუხლში საუბარია სახელმწიფო მოსამსახურისა და სახელმწიფოს სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ. აღნიშნული მუხლის სუბიექტია საჯარო მოსამსახურე, რომლის ცნება და სახეები განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად.“<sup>103</sup> როგორც საკასაციო სასამართლოს ამ განმარტებიდან ჩანს, სასამართლო პასუხისმგებელ სუბიექტად, სახელმწიფოსთან ერთად, საჯარო მოხელესაც განსაზღვრავს, რითაც, ფაქტობრივად, სოლიდარული პასუხისმგებლობის ინტიტუტის ერთგვარი გამართლება ხდება. ამ მსჯელობიდან არ ჩანს, რომ სასამართლო სოლიდარულ პასუხისმგებლობას განიხილავს არა როგორც სახელმწიფოს უფლებას, მოითხოვოს მისი მოხელისაგან რეგრესის წესით თანხის დაბრუნება, არამედ ზიანის ანაზღაურებას უკავშირებს სახელმწიფოს და ზიანის მიყენებელ სუბიექტს. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობაში ამგვარი დანაწესის არსებობა მუდმივად ქმნის იმის საშიშროებას, რომ მომავალშიც სასამართლოებმა ზიანის ანაზღაურებისას ზემოთ განხილული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალოგიურად იხელმძღვანელონ. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მესამე ნაწილი უნდა შეიცვალოს სოლიდარული პასუხისმგებლობის ნაწილში და ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ სახელმწიფოს მიეცეს უფლება, მისი მოხელის მიერ მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლისას, მისგან რეგრესის წესით დაიბრუნოს გადახდილი თანხა.

#### **4. წინაპირობები, რომლებიც განაპირობებენ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას**

ამ თავში განხილული იქნება ის შემთხვევები, რასაც ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა უკავშირდება. ზიანის ანაზღაურების ვალ-

<sup>103</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის №ბს-454-43(კ-05) განჩინება.

დებულება წარმოიშობა, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. ეს წინაპირობები გვაქვს, როდესაც პირი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, ბრალეული ქმედებით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, რაც ხდება ზიანის წარმოშობის მიზეზი.<sup>104</sup> აღნიშნული გამომდინარეობს სზაკ-ის 207-ე მუხლისა და 1005-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად, ასევე, დგინდება, რომ ზიანის ანაზღაურებას სასამართლო უკავშირებს სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევას, კერძოდ, ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, რაც ჩანს კიდევ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებიდან: „კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოხელე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო და ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზევით მითითებულ ნორმათა საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანი, რომელიც გამოწვეულია პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ან მის მიერ ჩადენილი დანაშაულით.“<sup>105</sup>

სსკ-ის 992 მუხლის ნორმის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ იგი 1005-ე მუხლისაგან განსხვავებულ პასუხისმგებლობის შემთხვევას ადგენს, რადგანაც ზიანის ანაზღაურების წარმოშობის ვალდებულებას ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს უკავშირებს, მაშინ,

<sup>104</sup> ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010, 147.

<sup>105</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის №ბს-252-238-კ-07 განჩინება.

როდესაც სსკ-ის 1005-ე მუხლი ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ ბრალის ზევით ჩამოთვლილ ფორმებს უკავშირებს. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ საკასაციო პალატა ზიანის ანაზღაურებას სწორედ ქმედების მართლწინააღმდეგობას უკავშირებს, რაც არასწორია, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების არც სამოქალაქო და არც ადმინისტრაციული მექანიზმი, მისი წარმოშობის ერთერთ საფუძვლად ქმედების მართლწინააღმდეგობას არ ადგენს.

#### 4.1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესი

იმისათვის, რომ დღის წესრიგში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ ზიანის მიყენების ფაქტი სწორედ იმ დროს განხორციელდეს, როდესაც იგი სამსახურებრივ უფლება-მოვალეობას ასრულებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო პასუხისმგებლობა გამოირიცხება.

სზაკ-ის 208-ე მუხლი ზიანის ანაზღაურების ფაქტს სწორედ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესს უკავშირებს. აღნიშნული გერმანულ სამართალშიც რეგულირდება. „მნიშვნელოვანი საკითხია, განისაზღვროს, თუ რამდენადაა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა სახეზე. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, თუ რამდენადაა სახეზე საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა. იგი უნდა გაიმიჯნოს კერძოსამართლებრივი ურთიერთობისგან და იმის მტკიცება, რომ, რადგანაც აღნიშნულ ურთიერთობაში ერთ-ერთ მხარეს საჯარო მოხელე წარმოადგენს, საქმე საჯაროსამართლებრივ ურთიერთობასთან გვაქვს, არ არის სწორი.“<sup>106</sup> დეტენბერკს მაგალითად მოჰყავს ორი შემთხვევა: პირველი, როდესაც პოლიციელი დამნაშავეს დევნისას გაუფრთხილებლობით მიაყენებს ზიანს მის კოლეგას, – ამ შემთხვევაში ეს საჯაროსამართლებრივი ქმედებაა; ხოლო მეორე შემთხვევაში მოჰყავს მაგალითი, როდესაც პოლიციელი კერძო მეწარმესთან შედის სახელშეკრულებო ურთიერთობაში და აყენებს მას ზიანს, აღნიშნული არ არის საჯაროსამართლებრივი ქმედება

---

<sup>106</sup> Dettenberk S., Allgemeine Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, München, 2005, 350-351



და მას აქვს სამოქალაქოსამართლებრივი ბუნება.<sup>107</sup> დეტენბერგი ცდილობს დაგვანახოს, რომ, როდესაც ორგანო, ამ შემთხვევაში პოლიციელი, მოქმედებს, იგი ყოველთვის არ ასრულებს სამსახურებრივ უფლებამოსილებებს. შესაბამისად, თუკი ზიანი დადგება იმ დროს, როცა იგი არ მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანოს სახელით, არ დგება ზიანის ანაზღაურების ორგანოსთვის დაკისრების ვალდებულება. ამ შემთხვევაში, მხარეს შეუძლია ზიანის მიმყენებელ პირს ედავოს სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს სახელით ზიანის მიყენებას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაში სდევს თან, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ქმედება ხორციელდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში და ქმედების განხორციელება გამომდინარეობს სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებიდან.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ზიანის მიყენების ანაზღაურება ასევე დამოკიდებულია იმაზე, რომ ქმედება მიმართული იყოს მესამე პირების მიმართ. „სამსახურებრივ ვალდებულებათა დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი თავისთავად არ წარმოშობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. კანონმდებლობის თანახმად, ამისათვის აუცილებელია, დაირღვეს სამსახურებრივი მოვალეობა სხვა პირის მიმართ, ე.ი. უნდა დაირღვეს ისეთი სამსახურებრივი ვალდებულება, რომელსაც შეესაბამება სხვა, კერძო პირის უფლება.“<sup>108</sup>

ზიანის ანაზღაურებისას გერმანიის სამართლებრივი სისტემა ამ საკითხს შემდეგნაირად აწესრიგებს: „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 839-ე პარაგრაფი და ძირითადი კანონის 34-ე მუხლი ადგენენ საჯარო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ მესამე პირის მიმართ ადმინისტრაციის ვალდებულებების დარღვევას. ეს ქმედება სამი ელემენტისგან შედგება: ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება; მესამე პირებზე მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება; ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების დარღვევა“<sup>109</sup>.

---

<sup>107</sup> იქვე, 351-352.

<sup>108</sup> ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 146.

<sup>109</sup> Dettenberk S., Allgemeine Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, München, 2005, 351-352.

## 4.2. ბრალეული ქმედება

ადმინისტრაციული ორგანის მხრიდან ზიანის ანაზღაურების კიდევ ერთი წინაპირობაა ზიანის მიმყენებლის ბრალის არსებობა, ვინაიდან ზიანის ანაზღაურების ვადებულება, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მიხედვით, მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშობა, თუ ზიანი მიყენებულია განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით. განზრახვა და გაუფრთხილებლობა კი ბრალის ფორმებია.

უნდა აღინიშნოს, რომ სსკ არ ახდენს ბრალის ფორმების განმარტებას. ამ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით: „განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ან/და ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განზოცვიელების გარდაუვალობას; ხოლო ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.“<sup>110</sup> „გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და

---

<sup>110</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი.

შეეძლო კიდევ.<sup>111</sup> შესაბამისად, აღნიშნული ნორმები ბრალის ფორმების განხილვისას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ.

ამ მხრივ, საინტერესოა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა. მოსარჩელე მოითხოვდა სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებას იმ მოტივით, რომ მისი ბინის ქურდობის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ თანამშრომელმა, რომელსაც ევალებოდა ამ ფაქტზე რეაგირების მოხდენა, არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რის გამოც მას ზიანი მიადგა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კოდექსის 992-ე მუხლით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც პირმა მიაყენა სხვა პირს თავისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით, ანუ უნდა არსებობდეს კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წარმოშობისათვის უნდა იყოს ბრალეული ქმედება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და მიიჩნია, რომ მოსარჩელეს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე მართებულად არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან არ დასტურდებოდა მოპასუხის ბრალეული ქმედება, რამაც მოცემულ შემთხვევაში ზიანი გამოიწვია. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საკასაციო პალატამაც.<sup>112</sup> როგორც ამ გადაწყვეტილებიდან ჩანს, სასამართლომ ბრალის არარსებობის გამო უარი უთხრა მხარეს ზიანის ანაზღაურებაზე.

აღსანიშნავია, რომ ბრალეული ქმედება თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას, რომელიც გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში (მაგალითად, ორგანოს თანამშრომელი გამოსცემს ისეთ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს, რომელიც ზიანს მიაყენებს მესამე პირებს ან პოლიციელი დამნაშავეის დევნისას დაზიანებს სხვის პირად ქონებას), არამედ უმოქმედობასაც. მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელმა რეაგირების გარეშე დატოვა დაინტერესებული მხარის განცხადება, რამაც გამოიწვია მხარისათვის უარყოფითი შედეგი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლო მოსაზრება, სადაც „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე

---

<sup>111</sup> იქვე, მე-10 მუხლი.

<sup>112</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის №ბს-198-187(კ-07)განჩინება.

მუხლით რეგლამენტირებულ მავალდებულებელ ნორმაში, ჯერ ერთი, საუბარია ბრალის ორივე ფორმაზე, ანუ, ზიანის მიმყენებელს გაუფრთხილებელი ბრალის შემთხვევაშიც ეკისრება ზიანის ანაზღაურება და მეორეც, მიყენებულ ზიანში ძირითადად, აქტიური მოქმედებით მიყენებული ზიანი იგულისხმება, თუმცა ზიანი შეიძლება გამოწვეულ იქნეს ასევე უმოქმედობით, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი მოქმედების შესრულება ზიანის მიმყენებელი პირის ვალდებულებას წარმოადგენდა<sup>113</sup>.

გერმანული სამართალი აღიარებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული ორგანოს სახელით მოქმედი პირის მიერ ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დროს. „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 839-ე I 1 პარაგრაფი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობას, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ბრალეულად (განზრახვით ან გაუფრთხილებლობით) არღვევს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებებს. ბრალეულობა უშუალოდ უნდა ეხებოდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების დარღვევას და ჩადენილი ქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებასთან.“<sup>114</sup> როგორც ნაშრომის ამ მონაკვეთიდან ჩანს, ბრალის არსებობისას პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ ბრალეული ქმედების ჩადენა განზრახ ან გაუფრთხილებლობით ხდება. ქართული სამართლის მიხედვით კი, ბრალეული ქმედების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის, განზრახვის გარდა, დადგენილია უხეში გაუფრთხილებლობა. აღნიშნული ტერმინი გარკვეულ დაბნეულობას ქმნის და გაურკვეველია, თუ რა იგულისხმევა ცნება „უხეშის“ ქვეშ, მით უმეტეს, რომ იგი კანონმდებლობით განმარტებული არ არის. ასევე, გაურკვეველობას ქმნის ეს ტერმინი სსკ-ის 992-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც ადგენს ბრალის ორ – განზრახ და გაუფრთხილებელ ფორმებს. ტერმინ „უხეში გაუფრთხილებლობის“ არსებობა კანონმდებლობაში მიზანშეუწონელია, ვინაიდან არსებობს იმის საშიშროება, რომ, თუკი დადასტურდება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის

<sup>113</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის №ბს-1116-1067(კ-07) განჩინება.

<sup>114</sup> Dettenberk S., Allgemeine Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, München, 2005, 363.

მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება, ან უმოქმედობა, გამოდის, სასამართლოს შექმნება არ დააკისროს ადმინისტრაციულ ორგანოს ზიანის ანაზღაურება, რაც გაუმართლებელი იქნება. „კანონის ნორმის ასეთი ფორმულირება კანონმდებლის შეცდომაა, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ გამოსწორებას. უხეში გაუფრთხილებლობის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს გაუფრთხილებლობა. თუკი კანონი ასეთი რედაქციით იარსებებს, როგორითაც დღეს, აღმოჩნდება, რომ სახელმწიფო მოხელეთა თუნდაც ბრალეული მოქმედებით ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არავის ეკისრება.“<sup>115</sup> მოსაზრებდანაც ნათლად ჩანს, რომ ამ ნორმის არსებობა გაუმართლებელია. გარდა ამისა, სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევა, როდესაც სააპელაციო სასამართლო ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითებს შემდეგს: „სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს ან მისი მოსამსახურის მიერ განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობის არსებობა დამდგარ ზიანთან მიმართებაში, რაც საქმეში არსებული მასალებით არ დადასტურებულა.“<sup>116</sup> მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას და გააუქმა იგი.<sup>117</sup> იმისათვის, რომ მომავალშიც არ განმეორდეს ანალოგიური შემთხვევები, ტერმინი „უხეში“ ამ ცნებიდან ამოსაღებია.

### 4.3. ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი

ზიანის ანაზღაურება ქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას უკავშირდება. ზიანის ცნება და მნიშვნელობა ნაშრომის წინა თავებში განვიხილეთ, ამიტომ მას აღარ შევეხებით. მიზეზობრივ კავშირთან დაკავშირებით დეტენბერკი აღნიშნავს, „დაწესებულების ვალდებულების დარღვევა და მიყენებული ზარალი ერთმანეთთან უნდა იყოს მი-

---

<sup>115</sup> ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 333.

<sup>116</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის №ბს-860-822-კ-07 განჩინება.

<sup>117</sup> იქვე.

ზეზობრიობაში. მიზეზობრივი კავშირი არ არის, როდესაც ზიანი მოვალეობის ჩვეულებრივი შესრულების დროს დგება. სამართლებრივი თვალსაზრისით, მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს, როდესაც ზიანი დადგა „ცხოვრებისეული გამოცდილების“ ფარგლებს გარეთ (ადეკვატურობის თეორია)<sup>118</sup>. როგორც ვხედავთ, მიზეზობრივი კავშირი, გარდა იმისა რომ, ვალდებულების დარღვევისას დაკავშირებული უნდა იყოს მიყენებულ ზიანთან, „ადეკვატურობის თეორიიდან“ გამომდინარე, მისი არსებობა გამოირიცხება იმ დროს, როდესაც შეუძლებელია გაითვალისწინოს ის შედეგი, რომელიც მოქმედების შედეგად დადგა.

მიზეზობრივი კავშირის არარსებობას საქართველოს უზენაესი სასამართლო ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმას უკავშირებს. დავა ეხებოდა პოლიციის თანამშრომლის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღუმერელობას, რის გამოც, მოსარჩელის მტკიცებით, მას ზიანი მიადგა. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების ნორმების „სწორად შეფარდებისათვის გადამწყვეტია თანამდებობის პირის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზ-შედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა. დამდგარი ზიანი გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა. დადგენილია, რომ კასატორის უმოქმედობის შედეგად დროულად არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რითაც დაირღვა კასატორების უფლება ეფექტურ გამოძიებაზე. მიუხედავად უდავოდ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებისა, საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მოპასუხის მიერ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრას აუცილებლად მოჰყვებოდა დანაშაულის გახსნა. მეტიც, დანაშაულის გახსნის შემთხვევაშიც კი ალბათობის შემცველია, მოხდებოდა თუ არა დამნაშავისაგან მოსარჩელეთა გატაცებული ნივთების უკან დაბრუნება ან აღნიშნული ნივთების ღირებულების ეკვივალენტური თანხის ამოღება. შესაბამისად, არ არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კასატორების მიერ ნივთების დაკარგვით გამოწვეულ მატერიალურ ზარალსა და სისხლის სამართლის საქმის

<sup>118</sup> Dettenberk S., Allgemeine Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, München, 2005, 363.

დროულად არ აღძვრას შორის. ამასთან, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც სავარაუდო კავშირი საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგება სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლითა და 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შემადგენლობა.<sup>119</sup> აღნიშნულით სასამართლო ადგენს, რომ მიზეზობრივი კავშირის არსებობისათვის მნიშვნელოვანია, მოქმედება და შედეგი უშუალოდ მიზეზობრივ კავშირში იყოს ერთმანეთთან, სავარაუდო შედეგი არ იძლევა მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენის შესაძლებლობას.

როგორც უკვე აღინიშნა, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ასევე, მიჩნეულია ზიანის ანაზღაურებისას პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ წინაპირობად, რაც ეწინააღმდეგება, როგორც სსკ-ის 1005-ე, ისე სზაკ-ის 208-ე მუხლით დადგენილ ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს. აღნიშნული მიდგომა არ არის გამართლებული, ვინაიდან უკანონოდ მიყენებული ზიანისას ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის არც სამოქალაქო და არც ადმინისტრაციული მექანიზმი პასუხისმგებლობის დაკისრებას ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს არ უკავშირებს, აღნიშნული დანაწესი ზიანის ანაზღაურების წინაპირობებიდან ამოსალბია.

#### **4.4. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები**

წინა თავებში განვიხილეთ, თუ რა შემთხვევებში შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციულ ორგანოს პასუხისმგებლობა. სსკ-ის 1005-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას – „ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი“. სამართლებრივი გზებით ზიანის აცილებაში კი იგულისხმება დაზარალებულის მხრიდან „საჩივრის ან სარჩელის შეტანა. თუკი დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ გამოიყენებს უფლების დაც-

<sup>119</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის №ბს-198-187(კ-07) განჩინება.

ვის სამართლებრივ საშუალებებს და არ ეცდება ამ გზით ზიანის დადგომის თავიდან აცილებას, მას არ რჩება სახელმწიფოსაგან კომპენსაციის მიღების უფლება“<sup>120</sup>.

ზიანის ანაზღაურების კიდევ ერთ გამომრიცხველ გარემოებად შეგვიძლია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი მივიჩნიოთ, რომელიც ადგენს: „თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული“. აღნიშნული საქართველოს უზენაესმა სასამართლომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად გამოიყენა. დავა ეხებოდა მობინადრეთა საერთო საკუთრებაში არსებულ მრავალბინიან სახლს, რომელსაც მობინადრეებმა მიშენება გაუკეთეს. მათ მიაჩნდათ, რომ მოპასუხე მხარის ბრალეული ქმედების გამო, მათ სარდაფებში ჩადიოდა წყალი, რამაც მიშენებების საძირკვლები დააზიანა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მობინადრეებმა ბრალეულად შეუწყვეს ხელი დამდგარ შედეგს. მიუხედავად მოპასუხის ბრალეულობისა, რადგანაც დამდგარ შედეგში მოსარჩელეთა ბრალი დიდი იყო, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა სსკ-ის 415-ე მუხლზე მითითებით.<sup>121</sup>

ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველ გარემოებებზე საუბრისას შესაძლებელია განჩნდეს მოსაზრება, რომ იგი შეუსაბამობაშია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან, რომელიც ადგენს, რომ „ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“. როგორც ამ ნორმის შინაარსიდან ჩანს, კონსტიტუციით დადგენილია ზიანის ანაზღაურების შემთხვევა, ხოლო პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებაზე საუბარი არაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუცია იძლევა სახელმწიფო პასუხისმგებლობის ინსტიტუტის ზოგად დეფინიციას, რომელიც შემდგომ უკვე გაშლილია კანონმდებლობაში.

<sup>120</sup> ტურავა პ., წიკვაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 147.

<sup>121</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 30 სექტემბრის №ბს-656-565-კ-04 განჩინება.



კანონდებლობა, ამ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსი, კი ადგენს ზიანის ანაზღაურების წესსა და პირობებს, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ამ ინსტიტუტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის პრობლემა.

პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, ასევე, დადგენილია გერმანულ სამართალში. „ადმინისტრაციული ერთეულის პასუხისმგებლობის მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 839.3 პარაგრაფის თანახმად არ არსებობს, თუ დაზიანებულმა საჩივრის შეტანის შესაძლებლობა არ გამოიყენა“<sup>122</sup>. როგორც ვხედავთ, აქაც ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველ გარემოებად მითითებული სამართლებრივი საშუალებების გამოყენებაა.

## **5. სასამართლო პრაქტიკა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას**

ნაშრომის წინა თავებში განხილულ იქნა, თუ რა წინაპირობების დაკმაყოფილებისას არის შესაძლებელი ადმინისტრაციული ორგანოს, ან მისი სახელით მოქმედი პირის მიერ საჯარო უფლებამოსილებების განხორციელებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს სასამართლოებში დღეს მოქმედი პრაქტიკიდან გამომდინარე. განხილულ იქნა ის, თუ როგორ ხელმძღვანელობენ სასამართლოები ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისას დავის გადაწყვეტის დროს. ნაშრომის წინა თავებში გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ სსკ-ის 1005-ე მუხლი არის არა სზაკ-ის 208-ე მუხლის შევსება, არამედ სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი ერთი ურთიერთობის მომწესრიგებელი ორი სამართლებრივი რეჟიმი. ამ თავში ვრცლად განვიხილავთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას.

სზაკ-ის 208-ე მუხლი ადგენს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობას მათი, ან მათი სახელით მოქმედი პირების მიერ ზიანის მიყენებისას. ანალოგიური შინაარსისაა სსკ-ის 1005-ე მუხლიც, რომელიც, ასევე, აწესებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მოხელის მიერ მიყენებული ზიანის გამო, იმ განსხვავებით, რომ

---

<sup>122</sup> Dettenberk S., Allgemeine Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, München, 2005, 369.

ზიანის ანაზღაურებას იგი მოხელის მიერ ქმედების ბრალეულად ჩადენას უკავშირებს, განსაზღვრავს მოხელისა და ორგანოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხს. გარდა ამისა, სასამართლო სზაკ-ის 208-ე მუხლისაგან განსხვავებით, ზიანის ანაზღაურებას სსკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად, ასევე, ქმედების მართლსწინააღმდეგო ხასიათს უკავშირებს. ერთი შეხედვით, საქმე გვაქვს ნორმათა კონკურენციასთან. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, როგორ უნდა იხელმძღვანელოს ამ დროს სასამართლომ. ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანი ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი ხასიათიდან გამომდინარეობს, ხოლო სზაკ-ის მიზანია „უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა“<sup>123</sup>, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურებაზე მსჯელობისას სზაკ-ით დადგენილი წესი მიჩნეულ უნდა იქნეს სპეციალურად. შესაბამისად, სასამართლოები სწორედ სზაკ-ის 208-ე მუხლით უნდა ხელმძღვანელობდნენ, როდესაც დღის წესრიგში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი დგას. თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებათა ნაწილში საერთოდ არ ხდება სზაკ-ის ნორმებზე მითითება. თვალსაჩინოებისათვის განვიხილავთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის რამდენიმე გადაწყვეტილებას.

საკასაციო პალატა ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, სადაც დავა საჯარო მოხელის მიერ უმოქმედობით გამოწვეულ ზიანს ეხება და მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოსაგან ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, აღნიშნავს: „სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლითა და 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შემადგენლობა“<sup>124</sup>. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, სასამართლო მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმებით ხელმძღვანელობს და საერთოდ

<sup>123</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლი.

<sup>124</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის №ბს-1025-978 (კ-06) განჩინება.

არ ეხება სზაკ-ის 208-ე მუხლს, როგორც ზიანის ანაზღაურების სპეციალურ საშუალებას.

საკასაციო პალატამ ადმინისტრაციული დავის განხილვისას 2008 წლის 17 დეკემბერის განჩინებაში მიუთითებს: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგოდ, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება განზრახი ან გაუფრთხილებელი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანი. მხოლოდ ზიანის არსებობა არ იწვევს მის უპირობო ანაზღაურებას“<sup>125</sup>. ამ შემთხვევაში სასამართლო ეხება სზაკ-ის 207-ე მუხლს, რასაც იყენებს იმის დასასაბუთებლად, რომ დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელოს სამოქალაქო კანონმდებლობით, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას კონკრეტული ინსტიტუტი, 208-ე მუხლის სახით, გამოყენებული არ ყოფილა.

ამ კუთხით, ასევე, საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი განჩინება, სადაც მოსარჩელე მოითხოვდა ქ. თბილისის მერიისაგან ზიანის ანაზღაურებას, მისი მოხელის სამსახურობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ჩადენილი ქმედების გამო. სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მოტივით მიიჩნია დაუსაბუთებლად, რომ ამ შემთხვევაში მას არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 1005-ე მუხლი, ვინაიდან, ვერ დგინდებოდა სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეული ქმედება.<sup>126</sup> საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს

---

<sup>125</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის №ბს-908-768-კ-04 განჩინება.

<sup>126</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის №ბს-860-822(კ-07) განჩინება.

ზიანის მიყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან. კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი). სასამართლო სზაკ-ის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე ასევე მიუთითებს რომ საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურება ბრალის არსებობის გარეშე<sup>127</sup>.

სასამართლო გადაწყვეტილების ამ ნაწილში ზიანის ანაზღაურების საფუძვლად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 თავს მიუთითებს და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით პასუხისმგებლობის დაკისრებას გამორიცხავს. ის საუბრობს ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულსამართლებრივ მექანიზმზე, თუმცა მითითებას აკეთებს არა 208-ე მუხლზე, არამედ 209-ზე, რომელიც სახელმწიფო პასუხისმგებლობის სულ სხვა შემთხვევას განსაზღვრავს, როგორც ეს ნაშრომის წინა თავებში იყო განხილული, რომელსაც ადმინისტრაციული ორგანოს სახელით უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან კავშირი არა აქვს. თუმცა ამ გადაწყვეტილებაში საინტერესოა ის, რომ საკასაციო სასამართლო მსჯელობს ადმინისტრაციული ორგანოს სახელით მოქმედი პირის მიერ ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმის გამოყენებაზე და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ნორმების გამოყენება ამ შემთხვევაში დაუშვებელია.<sup>128</sup> სასამართლო გავიდა 209-ე მუხლზე იმ მოტივით, რომ საქმე ეხებოდა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევა. თუმცა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სწორედ სზაკ-ის 208-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საკითხს და ვინაიდან დავა დაკავშირებული იყო ამ შემთხვევასთან, მას უნდა გაემსხვილებინა ყურადღება სწორედ 208-ე მუხლზე.

---

<sup>127</sup> იქვე.

<sup>128</sup> იქვე.

208-ე მუხლის ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ან ნორმით დადგენილი ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმი, არ უკავშირებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ბრალს და ამ ბრალის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. საკმარისია, დადასტურდეს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმარტაციული პირისაგან ზიანის მიყენების ფაქტი, რომ დადგეს პასუხისმგებლობა. შესაბამისად, თუკი სასამართლოების მიერ მოხდება დავის 208-ე მუხლზე დაყრდნობით გადაწყვეტა, მათ შეეძლება ადმინისტრაციული ორგანებისათვის ბრალის გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება. ის, რომ სსკ-ის 1005-ე და სზაკ-ის 208-ე მუხლები განსხვავებულად აწესრიგებენ ერთსა და იმავე ურთიერთობას, ნათლად ჩანს უზენაესი სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებიდანაც: „საკაცაციო სასამართლო მოიხმობს სზაკ-ის XIV თავის მოთხოვნებს, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა დადგენილი და განმარტავს, რომ 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, კერძოდ, სსკ-ის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია, რომ თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ნიშანდობლივია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მოცემულისაგან განსხვავებულ წესს ადგენს და განმარტავს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო (სზაკ-ის 208-ე მუხლი). ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მოცემული ნორმები ზიანის მიმყენებლის ბრალის ფორმას არ აკონკრეტებს და სავარაუდოა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება ნებისმიერი ზიანი, რომელიც გამოწვეულია მისი თანამდებობის

პირის ან მოსამსახურის მოქმედებით, მიუხედავად ამ უკანასკნელის განზრახვისა<sup>129</sup>. როგორც ამ გადაწყვეტილებიდან ჩანს, სასამართლო უშვებს იმის ვარაუდს, რომ დავა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ 208-ე მუხლით და სსკ-ით დადგენილი ნორმების გამოყენება ამ შემთხვევაში გაუმართლებელია, ასევე, ყურადღებას ამახვილებს ბრალის ფორმების გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ასეთი მოსაზრება მისასაღებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ბრალის არარსებობის გამო პასუხისმგებლობის დაკისრების ნორმად სზაკ-ის 208-ე მუხლს განსაზღვრავს შემდეგ გადაწყვეტილებაში: ვინაიდან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეული ქმედება (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) არ არის დადგენილი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულის გამო სარჩელი საფუძვლიანობის შემთხვევაში იურიდიულად გამართლებულია არა სსკ-ის 1005.1. მუხლის, არამედ, სზაკ-ის 208.1. მუხლის საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრა რა პასუხისმგებელი სუბიექტი ამგვარ სარჩელზე, პროცესუალური თვალსაზრისით ეს გარემოება აისახა სათანადო მოპასუხის დადგენის საკითხზე, ანუ პირზე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს აღძრულ მოთხოვნაზე“<sup>130</sup>.

როგორც ვხედავთ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში სასამართლოს პრაქტიკა არაეთვაროვანია, რაც იმით არის განპირობებული, რომ დავის გადაწყვეტის ორ გზა არსებობს – სამოქალაქო და ადმინისტრაციულსამართლებრივი. პრობლემის გადასაჭრელად, ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. არსებობს პრობლემის გადაჭრის ორი გზა:

ა) სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში – სსკ-ის 1005-ე მუხლი კანონიდან უნდა იქნას ამოღებული. ამ შემთხვევაში, დავის გადაჭრა შესაძლებელი იქნება სზაკ-ის 208-ე მუხლის საფუძველზე, ბრალის ფორმების არსებობის მიუხედავად. თუმცა, ამ შემთხვევაში, ორგანოს პასუხისმგებლობა ბრალთან დაკავშირებული აღარ იქნება. შესაძლებელია, აღნიშ-

<sup>129</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის №ბს-237-182-კ-05 განჩინება.

<sup>130</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 ნოემბრის №ბს-536-122-კ-05 განჩინება.

ნული მოდელი მისაღები არ იყოს სახელმწიფოსთვის, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დიდ ფინანსურ სახსრებთანაა დაკავშირებული.<sup>131</sup> ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ბრალის სზაკ-ის 208-ე მუხლში დანერგვა; ასევე, მნიშვნელოვანი იქნება რეგრესის წესით სახელმწიფოს მხრიდან ზიანის მიმყენებელი პირისაგან მიყენებული ზიანის ამოღების განსაზღვრა, ოღონდ არა ისეთი ფორმით, როგორც ეს სსკ-ით არის მოწესრიგებული. ასევე, შესაძლებელია, ამავე მუხლში პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების დანერგვა, რითაც ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში ადმინისტრაციული ორგანოს ან მისი თანამდებობის პირის მიერ მიყენებული ზიანის ეფექტური მექანიზმი იარსებებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სზაკ-ის 208-ე მუხლი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

*„1. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.*

*2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;*

*3. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.*

---

<sup>131</sup> თუმცა არსებობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ინსტიტუტის დანერგვის არგუმენტაციაც, კერძოდ: მოქალაქეები უფრო დაცულნი იქნებიან საჯარო უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში, მიუხედავად მათი ბრალეულობისა. ეს კი საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთი გამოხატულება იქნება, ასევე, სრულყოფილად იქნება რეალიზებული ზიანის ანაზღაურების საკონსტიტუციონსამართლებრივი მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობისას ზიანის ანაზღაურებას მისი მიმყენებლის ბრალეულობას არ უკავშირებს. ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი იარსებებს სახელმწიფოს ნება, აგოს პასუხი მისი სახელით მოქმედი პირის მიერ ბრალის გარეშე მიყენებული ზიანისათვის.

4. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ, ასევე მისი სახელით მოქმედი კერძო პირებისაგან, რომლებიც დელეგირების ან დავალების საფუძველზე რაიმე საქმიანობას ახორციელებენ მათი სახელით, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ამ ორგანოებმა პასუხი აგეს მათი ბრალეული მოქმედებების გამო.

5. სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობა არ დადგება იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული სამართლებრივი გზით არ ეცდება ზიანის დადგომის თავიდან აცილებას.“

ამ შინაარსის ნორმის კანონმდებლობაში დანერგვა მოგვცემს ზიანის ანაზღაურების ეფექტური მექანიზმის შექმნის შესაძლებლობას.

ბ) მეორე გზა არის ანალოგიური შინაარსის ნორმების სამოქალაქო კანონმდებლობაში გადატანა და სზაკ-იდან ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების ამოღება. თუმცა, მიგვაჩნია, რომ უფრო გამართლებული იქნება სზაკ-ში ამ ინსტიტუტის არსებობა, ვინაიდან საქმე ეხება საჯარო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს – ადმინისტრაციული ორგანოსა და მოქალაქის ურთიერთობას, ადმინისტრაციული სამართლის მიზანი კი სწორედ ამ ურთიერთობის მოწესრიგებაა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას დავის ეფექტურად გადასაჭრელად მიზანშეწონილია ამ ურთიერთობის სზაკ-ით მოწესრიგება.

### **III. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა და ჯანდაცვის სამართალი**

#### **1. ჯანდაცვის ადგილი ადმინისტრაციულ სამართალში და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში**

ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საკონსტიტუციო საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა საკმაოდ დიდი მოცულობისაა, რომლითაც უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაზღვევისა და სამედიცინო დახმარების საყოველთაო უფლება. აღნიშნულ



უფლებას სოციალური უფლების ხასიათი აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ დამოკიდებული ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს აქტიურობაზეა, კერძოდ, დამოკიდებულია მის მიერ ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებაზე.<sup>132</sup>

ქართულ სამართლებრივ რეალობაში ჯანმრთელობის დაცვის სამართალი, როგორც ადმინისტრაციული სამართლის ნაწილი, ნაკლებადაა შესწავლილი. ამის ნათელი დასტურია ის ფაქტი, რომ ჯანმრთელობის დაცვის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების საკანონმდებლო მოწესრიგება საქართველოში 1997 წლიდან დაიწყო. კერძოდ, 1997 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, 2000 წლის 25 მაისს – საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, 2001 წლის 28 ივნისს – საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, 2007 წლის 12 ივლისს კი – საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, ხოლო სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა ამ თეკსმეტი წლის განმავლობაში ძალზე მწირია.

ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია – ჯანდაცვის სისტემაში წესრიგის დაცვა. ჯანმრთელობის დაცვის სამართლის მარეგულირებელი ნორმების ერთიანი კოდიფიკაცია არ არსებობს, შესაბამისად, აღნიშნული ტიპის ნორმებს, ერთი მხრივ, ქმნის ის უამრავი ნორმატიული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, რომელიც ამ სფეროში მოქმედებს და მეორე მხრივ, სხვადასხვა სექტორული თუ დარგობრივი კანონმდებლობა, რომელშიც უხვადაა ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი ნორმები ან/და ჯანდაცვის სამართალთან გარკვეული კავშირის მქონე ნორმები. ბუნებრივია, მნიშვნელოვანია აღნიშნული ნორმატიული აქტების მოკლე მიმოხილვა მათი მოწესრიგების სფეროსა და მიზნების დასადგენად. არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებს კი შემდგომ ქვეთავებში შევხებით.

---

<sup>132</sup> იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, 309. ციტირება ნაშრომში: ახვლედიანი მ., ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში, საღისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2011, 51.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი „აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“<sup>133</sup>. აღნიშნული კანონი მოიცავს, როგორც ჯანდაცვის ორგანიზაციის საკითხებს, ასევე, ჯანდაცვის ცალკეული მიმართულებების შესახებ ზოგად რეგულაციებს.<sup>134</sup> კანონის მიღებიდან მასში მრავალი ცვლილებაა შესული, თუმცა, დღემდე არსებობს მრავალი საკანონმდებლო ხარვეზი, რაც პრაქტიკაშიც გაუგებრობასა და ორაზროვნებას შეიძლება იწვევდეს.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ის ზოგადი პოსტულატები, რომლებიც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს, მოქალაქეთა უფლებებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ჯანმრთელობის სისტემის მართვას, ორგანიზაციასა და დაფინანსებას, სამედიცინო საქმიანობასა და სამედიცინო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგების საკითხებსა და ა.შ. აღნიშნული ნორმატიული აქტი წარმოადგენს ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელ სამართლებრივ დოკუმენტს ქვეყნის მასშტაბით. ჯანდაცვის პოლიტიკა კი უშუალო კავშირშია ჯანდაცვის ადმინისტრირებასთან. ჯანდაცვის პოლიტიკის ის ამოცანები, რომლებიც ეხება ჯანდაცვის სამართლებრივ მოწესრიგებას, განსაზღვრულია მოცემული ნორმატიული აქტით, რომელსაც ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს და მიზნად მრავალი სტრატეგიული გეგმის დანერგვასა და აქედან გამომდინარე, შესაბამისი შედეგების მიღწევას ისახავს.<sup>135</sup> გარდა ამისა, კანონი შეიცავს საკმაოდ ძლიერ დეკლარაციული ხასიათის დებულებებს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ.<sup>136</sup> აღნიშნული ნორმატიული აქტიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

<sup>133</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

<sup>134</sup> თალაკვაძე ა., გოცაძე თ., ბოკერია ი., ბაქაქური ნ., სხვიტარიძე ზ., გზირიშვილი დ., ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2011, 77.

<sup>135</sup> გერზმავა ო., საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, თბილისი, 1998, 151.

<sup>136</sup> თალაკვაძე ა., გოცაძე თ., ბოკერია ი., ბაქაქური ნ., სხვიტარიძე ზ., გზირიშვილი დ., ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2011, 76.

სოციალური დაცვის სამინისტრო წარმოადგენს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც აქვს შესაბამისი უფლებამოსილება, სახელმწიფო მართვის მექანიზმებით უზრუნველყოს ჯანმრთელობის მართვის სრული სისტემის მართვა და შესაბამისი პოლიტიკის გატარება.<sup>137</sup>

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს იმ ტიპის ნორმატიულ აქტს, რომელიც მიმართულია მოქალაქის უფლებების დაცვისკენ, აგრეთვე, მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისკენ. შესაბამისად, აღნიშნული კანონი არის ცენტრალური დოკუმენტი, როდესაც საქმე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის და მათ შორის მარგინალური ჯგუფების უფლებების დაცვას ეხება.<sup>138</sup> გარდა ამისა, ამ კანონის უმნიშვნელოვანესი დანაწესია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქალაქის უფლებებისა და კეთილდღეობის უპირატესი მნიშვნელობის არსებობა, მედიცინისა და სამედიცინო მეცნიერების ინტერესებთან შედარებით.<sup>139</sup> აღნიშნული პრინციპი თან სდევს კანონის ყველა ნორმას ნებისმიერი კონკრეტული შემთხვევის არსებობისას.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არის სპეციალური კანონი, რომელიც საექიმო საქმიანობის სუბიექტის საქმიანობის საკითხებს აწესრიგებს.<sup>140</sup> კანონის მე-4 მუხლი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საშუალებას აძლევს, განსაზღვროს: 1. საექიმო სპეციალობათა ნუსხა; 2. მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა ნუსხა<sup>141</sup> და 3. იმ საექიმო სპეციალობათა ნუსხა, რომლებშიც ეკრძალება მუშაობა ამა თუ იმ დაავადების მქონე დამოუკიდე-

---

<sup>137</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი.

<sup>138</sup> თალაკვაძე ა., გოცაძე თ., ბოკერია ი., ბაქაქური ნ., სხვიტარიძე ზ., გზირიშვილი დ., ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2011, 78.

<sup>139</sup> „პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

<sup>140</sup> თალაკვაძე ა., გოცაძე თ., ბოკერია ი., ბაქაქური ნ., სხვიტარიძე ზ., გზირიშვილი დ., ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2011, 77.

<sup>141</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №01-64/ნ „საექიმო სპეციალობათა ნუსხისა და მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (გაუქმებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 6 მარტის №01-1/ნ ბრძანებით)

ბელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს.<sup>142</sup> შესაბამისად, მოცემული კანონი ადგენს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების, სამედიცინო უწყვეტი პროფესიული განვითარების, სახელმწიფო სერტიფიცირების, საექიმო სუბსპეციალობის საკითხებს; აგრეთვე, იგი ეხება პაციენტის მიმართ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტის მოვალეობებს, პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხებს, საექიმო საქმიანობასთან მიმართებით სახელმწიფო ზედამხედველობის ნორმებს და ა.შ.

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანი კი არის: „მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება“<sup>143</sup>. აღნიშნული ნორმატიული აქტი მკაფიოდ განსაზღვრავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრინციპებს, რისკებს და სახელმწიფო ვალდებულებებს.<sup>144</sup> შესაბამისად, სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობის იმ საკითხებს, რომლის უზრუნველყოფაც კანონით მას დაეკისრა.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების გარდა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში არსებობს მრავალი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლებიც აწესრიგებს იმ საკითხებს, რაც დაკავშირებულია ჯანდაცვის სამართალთან, როგორც ადმინისტრაციული სამართლის ნაწილთან, მაგალითად, „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონი, „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართვე-

---

<sup>142</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №331/ნ „იმ საექიმო სპეციალობათა ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც ეკრძალება მუშაობა ამა თუ იმ დაავადების მქონე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს და სახელმწიფო სერტიფიკატის მადიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობის დამტკიცების თაობაზე“.

<sup>143</sup> „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

<sup>144</sup> თალაკვაძე ა., გოცაძე თ., ბოკერია ი., ბაქაძე ნ., სხვიტარიძე ზ., გზირიშვილი დ., ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2011, 76.

ლოს კანონი, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი და ა.შ.

## **2. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართლისა და ჯანმრთელობის დაცვის სამართლის ურთიერთმიმართება**

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ურთულეს და ამავე დროს, პრაქტიკისა და მეცნიერების აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.<sup>145</sup> მისი სირთულე განსაკუთრებით იმ შემთხვევებში ვლინდება, როდესაც საკითხი ადმინისტრაციული სამართლის სპეციალურ ქვედარგს, ჯანმრთელობის დაცვის სამართალს ეხება. ეს უკანასკნელი, პირველ ყოვლისა, მოწოდებულია პაციენტის უფლებების დასაცავად, რომელთაც თანამედროვე ცხოვრებაში სამედიცინო მომსახურება სჭირდებათ (ან სურთ). აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, ე.წ. „სამედიცინო პასუხისმგებლობის“ პრობლემა იქმნება, რომელიც არც სისხლის და არც ადმინისტრაციულსამართლებრივ პასუხისმგებლობას წარმოადგენს. მას სამოქალაქო დელიქტის ნიშნები აქვს და ტიპურ არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების საფუძველს ქმნის. თუმცა იკვეთება მეორე პრობლემა, როდესაც საქმე სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობას ეხება.<sup>146</sup> შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, არასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ნაცვლად (ალტერნატიული სახით), კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.<sup>147</sup> ამ დროს პასუხისმგებლობის მოვალეზე დასაკისრებლად უნდა არსებობდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა,<sup>148</sup> რაც, რა თქმა უნდა, მართლწინააღმდეგობას, ზიანს, მიზეზობრივ კავშირსა და ბრალს მოიცავს.

---

<sup>145</sup> ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 143.

<sup>146</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი.

<sup>147</sup> იქვე, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>148</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 364.

აღნიშნულს გარდა, სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების კიდევ ერთი დანაწესია ვალდებულების დარღვევით დამდგარი ზიანის ანაზღაურება – პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.<sup>149</sup> პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა თავის თავში ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი სამ შემთხვევას გამოყოფს: რესტიტუცია, რეპარაცია და კომპენსაცია. სსკ-ს 408-ე მუხლში კანონმდებელი სპეციალურად მხოლოდ სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას გამოყოფს, რომელიც ყოველგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობის გარეშეა გათვალისწინებული.<sup>150</sup> რაც შეეხება ყოველთვიურ სარჩოსა და მკურნალობის ხარჯებს, მისი მოთხოვნის უფლება დაზარალებულს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის საფუძველზე აქვს. მას საქართველოს უზენაესი სასამართლო, გარკვეულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საქმეებზეც იყენებს.<sup>151</sup>

მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი, რომელიც სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სპეციალურად აწესრიგებს. აღნიშნული ნორმის მიხედვით: „სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“. მოცემულ შემთხვევაში ვალდებულ სუბიექტს სამედიცინო დაწესებულება წარმოადგენს, სადაც მკურნალობის განმავლობაში პირის ჯანმრთელობას ზიანი მიადგა.<sup>152</sup> ნორმის ანალიზის შედეგად შეუძლებელია დადგინდეს, თუ რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამედიცინო დაწესებულებებზეა საუბარი. თუმცა ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ის ყველა ფორმის

<sup>149</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი.

<sup>150</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 454.

<sup>151</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება №ბს-234-221 (2კ-07).

<sup>152</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 428.

სამედიცინო დაწესებულებაზე უნდა ვრცელდებოდეს. ზემოაღნიშნული ნორმის უკეთ გასაგებად დარგობრივი კანონმდებლობის გამოყენებაა საჭირო. კერძოდ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად<sup>153</sup>, „სამედიცინო დაწესებულება არის საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს სამედიცინო საქმიანობას. სამედიცინო დაწესებულების საფინანსო რესურსებში სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული წილი შეადგენს არანაკლებ 75%-ს, ხოლო მის ბალანსზე არსებული ძირითადი ფონდების საშუალო წლიური ღირებულების არანაკლებ 75%-ისა გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად“. ამავე კანონის მიხედვით,<sup>154</sup> სამედიცინო დაწესებულება სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი შეიძლება იყოს. პირველი მათგანი საქმიანობას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ახორციელებს, ხოლო მეორე კი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>155</sup> აღნიშნული ნორმატიული აქტის მიხედვით, 1007-ე მუხლი სახელმწიფო და კერძო ტიპის სამედიცინო დაწესებულებებზეც უნდა გავრცელდეს.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლის მიხედვით, დადგენილია, რომ: „ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებისათვის ან სიკვდილისათვის, ან პაციენტისათვის მიყენებული მორალური ან მატერიალური ზიანისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით“. ამავე კანონის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტით დადგენილია ტერმინის – „მცდარი სამედიცინო ქმედების“ განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც, მცდარი სამედიცინო ქმედება არის „ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა“. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ტერმინი „უნებლიედ“, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, გაუმართავია და შეცვლას საჭიროებს, მაგალითად, „გაუფრთხილებლო-

<sup>153</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>154</sup> იქვე, 57-ე მუხლი.

<sup>155</sup> იქვე, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ბით“. ასევე, მოცემული ნორმიდან არ ჩანს, თუ რა სახის ზიანზეა საუბარი. შესაბამისი დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე კი, აუცილებელია, განისაზღვროს, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს ზიანი.<sup>156</sup> აღნიშნული განსაზღვრების მიხედვით, მცდარი სამედიცინო ქმედებისათვის ერთადერთ პასუხისმგებელ პირს მხოლოდ ექიმი წარმოადგენს, რაც, ბუნებრივია, არ შეიძლება გამართლებული იყოს. „სამედიცინო მომსახურებისას“ ზიანის მიყენებელი შეიძლება იყოს როგორც ექიმი, ისე სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელი ნებისმიერი სუბიექტი (ექთანი, ტექნიკური პერსონალი, სამედიცინო დაწესებულებაც კი).<sup>157</sup> აშშ-ში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სამედიცინო ორგანიზაციულ წარმონაქმნებთან მიმართებით ხშირად ე.წ. „კორპორაციულ პასუხისმგებლობას“ იყენებენ.<sup>158</sup> აქედან გამომდინარე, აღნიშნული ნორმის ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ინსტიტუციურ მოწესრიგებასთან შესაბამისობაში მოყვანისათვის აუცილებელია, მასში შევიდეს ის ცვლილებები, რომლებზეც დასკვნით ნაწილში იქნება საუბარი.

### 3. დელიქტები (ზიანი) ჯანდაცვის სამართალში

ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ჩადენილი ქმედების დელიქტად დაკვალიფიცირებისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის ელემენტთა ერთობლიობა უნდა არსებობდეს. ასეთი სახის ვალდებულებების წარმოშობის საფუძველს სამართალდარღვევა წარმოადგენს, ამიტომ მათ დელიქტურ ვალდებულებებს უწოდებენ.<sup>159</sup> ზიანი უნდა იყოს „არასახელშეკრულებო“ ვალდებულებიდან გამომდინარე.<sup>160</sup> დელიქტური სამართლის ფუნქცია სწორედ ისაა, რომ ზიანის მიყენების უამრავი შემთხვევიდან ამოარჩიოს

---

<sup>156</sup> თალაკვაძე ა., გოცაძე თ., ბოკერია ი., ბაქაქური ნ., სხვიტარიძე ზ., გზირიშვილი დ., ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2011, 27.

<sup>157</sup> იქვე, 27.

<sup>158</sup> Pozgar G. D., *Legal Aspects of Health Care Administration*, Gaithersburg Maryland, 1999, 155.

<sup>159</sup> ახვლედიანი ზ., *ვალდებულებითი სამართალი*, თბილისი, 1999, 258.

<sup>160</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 379.



და გამოიყენოს ისეთი, როდესაც დაზარალებულს შეეძლება მიყენებული ზიანის სიმძიმე სხვა პირს დააკისროს.<sup>161</sup>

ქართულ სამოქალაქო კოდექსში, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1007-ე მუხლის სახით სპეციალური მოწესრიგება არსებობს, რომელიც სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით სამედიცინო დაწესებულების პასუხისმგებლობასა და ზიანის ანაზღაურების საკითხებს ეხება. აღსანიშნავია, რომ ამ შინაარსის ნორმა გერმანიის დელიქტების სამართალში არ არსებობს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფის პირველი და მეორე პუნქტის შესაბამისად, დადგენილია, რომ:

*„1. პირი, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზარალი.*

*2. ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, ვინც არღვევს კანონს, რომელიც მიმართულია სხვა პირის ინტერესების დაცვისაკენ. თუ კანონის შინაარსის თანახმად მისი დარღვევა შესაძლებელია ასევე ბრალის გარეშეც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მხოლოდ ბრალის არსებობისას.“<sup>162</sup>*

აღნიშნული ნორმა ზოგადი ხასიათისაა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ეხება. ამ ნორმის მიხედვითაც ოთხი ძირითადი ელემენტი უნდა არსებობდეს, რათა ქმედება დელიქტად დაკვალიფიცირდეს. პირველ ყოვლისა, ესაა ქმედება, რომელიც მიმართულია ადამიანის კანონით დაცული რომელიმე უფლების<sup>163</sup> ან ინტერესისკენ.<sup>164</sup> ასეთებია, – სიცოცხლე, ადამიანის სხეული, ჯანმრთელობა, თავისუფლება, საკუთრება ან „სხვა უფლება“.<sup>165</sup> მეორე ელემენტია ქმედების კანონსაწინააღმდეგო<sup>166</sup> ხასიათი. მესამეა ე.წ. „კულპაუნარიანობა“, ანუ ქმედება ბრალეული (გან-

---

<sup>161</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 287.

<sup>162</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), ზ. ჭვჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2010, 175.

<sup>163</sup> Rechte (გერმ.).

<sup>164</sup> Rechtsgüter (გერმ.).

<sup>165</sup> sonstiges Recht (გერმ.).

<sup>166</sup> Rechtswidrigkeit (გერმ.).

ზრახვა ან გაუფრთხილებლობა) უნდა იყოს და მეოთხე ელემენტი კი დამდგარ შედეგსა და ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებას შორის კაუზალური კავშირია<sup>167</sup>.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი კი პირის სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ეხება.<sup>168</sup> ის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის სპეციალურ დანაწევს წარმოადგენს. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობს, აუცილებელია ალტერნატიული კონკურენციის მაგალითის გამოყენება, რომელიც გერმანულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება.<sup>169</sup>

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართალში კანონსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანი, როგორც ზემოთ აღნიშნა, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია მისი ელემენტების განხილვა ჯანდაცვის ნორმებთან მიმართებით.

### **3.1. სამედიცინო პერსონალი და ინსტიტუცია, როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი**

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულება კანონმდებლობით დაშვებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირია, რომელიც დადგენილი წესით სამედიცინო საქმიანობას ახორციელებს.<sup>170</sup> როგორც ზემოთ აღნიშნა, ამგვარი ტიპის დაწესებუ-

---

<sup>167</sup> Markesinis B.S., Unberath H., *The German Law of Torts (A Comparative Treatise)*, Oxford and Portland Oregon, 2002, 43.

<sup>168</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 407.

<sup>169</sup> Brackenhoeft, *die Identität und materielle Connexität der Rechtsverhältnisse oder der Umfang der Wirkung der Res judicata, die Konkurrenz der Klagen, und das Präjudicium*, 1839, 300, ციტირება ნაშრომში: ჩაჩავა ს., *მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში*, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010, 115.

<sup>170</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი.

ლება შეიძლება არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირი იყოს.<sup>171</sup> აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, შეუძლებელია, დადგინდეს სამედიცინო დაწესებულება კერძო დაწესებულებას წარმოადგენს, თუ – საჯაროს. აუცილებელია, განისაზღვროს, თუ ვის მიერაა იგი ჩამოყალიბებული. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სამედიცინო დაწესებულების შემთხვევაში (რომელიც ხშირად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით არსებობს) პასუხისმგებელ სუბიექტად სწორედ სახელმწიფო გვევლინება. მსგავსი დაწესებულებები შეიძლება დაკვალიფიცირდეს, „კერძო პირებად, რომლებიც რაიმე საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების, ან დავალების საფუძველზე“<sup>172</sup>.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ასევე, ადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დავალების საფუძველზე, მისი სახელით მოქმედი კერძო პირის მიერ მიყენებული ზიანის გამო, ეკისრება. მაგალითად, როდესაც კერძო პირები ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე რაიმე ტიპის სამუშაოებს ასრულებენ. თუ ამ დროს ისინი მე-სამე პირებს ზიანს მიაყენებენ, მათ გამო პასუხისმგებლობა, ზემოთ მოყვანილი ნორმის საფუძველზე, იმ ადმინისტრაციულ ორგანოებს ეკისრებათ, რომელთა სახელითაც ისინი მოქმედებენ<sup>173</sup>.

### **3.2. სამედიცინო საქმიანობა, როგორც საჯაროსამართლებრივი საქმიანობა**

სამედიცინო საქმიანობის დეფინიციაა „საექიმო საქმიანობის შესახებ“<sup>174</sup> საქართველოს კანონშია მოცემული, რომლის მიხედვით, „საექიმო საქმიანობა ეს არის მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და

<sup>171</sup> იქვე, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>172</sup> ტურავა პ., წიკელაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 146.

<sup>173</sup> მაკარიძე დ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, 2012, 29.

<sup>174</sup> „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი.

პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე, საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება“. შესაბამისად, საექიმო პროფესიის წარმომადგენელს საზოგადოების წინაშე უდიდესი ვალდებულება აკისრია, რაც მათი ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფასა და დაცვაში მდგომარეობს.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემაზე კონტროლის სხვადასხვა მექანიზმს ახორციელებს. აღნიშნული მექანიზმები შეიძლება იყოს:

1. სამედიცინო დაწესებულებების კონტროლი (რაც სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირებისა და სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის ხარისხის კონტროლს მოიცავს);
2. საექიმო საქმიანობაზე ზედამხედველობა (სამედიცინო მომსახურების ხარისხის და დოკუმენტაციის წარმოების კონტროლი);
3. წამლის კონტროლი (სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა).

პირველი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს; ასევე, სამედიცინო პერსონალის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და სამედიცინო სასწავლებლების, აგრეთვე, სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიცენზირებაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.

საექიმო საქმიანობაზე ზედამხედველობა ის მნიშვნელოვანი კონტროლის საშუალებაა, რომლითაც, ერთი მხრივ, სამედიცინო სექტორში პროფესიული კადრების ზრდაა უზრუნველყოფილი და მეორე მხრივ, რეალურ ცხოვრებაში ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვა ხორციელდება. პერიოდულად, წელიწადში ერთხელ მაინც, სამინისტრო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და სამედიცინო დოკუმენტაციას შერჩევით აკონტროლებს; შესაბამისი დოკუმენტი კი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის მონაწილეობით უნდა შედგეს.<sup>175</sup>

---

<sup>175</sup> „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი, ნაშრომიდან: ახვლედიანი მ., ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2011, 68; საქართვე-

მესამე მექანიზმი კი ერთგვარ „დამატებით“, თუმცა უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს. სამედიცინო დაწესებულების ფუნქციაში ფარმაცევტული საქმიანობაც შედის, რომელსაც საქართველოს მასშტაბით „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (ისევე, როგორც სხვა მოპასუხეებს, რომლებსაც სამედიცინო პრეპარატების მიმოქცევასა და გამოყენებაზე შესაბამისი კონტროლის განხორციელება ევალებოდათ) პასუხისმგებლობა დააკისრა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა: ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობდა და აგრეთვე, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის არამართლზომიერ ქმედებას (უმოქმედობას) შედეგად ბავშვის დაავადება<sup>176</sup> მოჰყვა. კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირს – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით,<sup>177</sup> ზიანის ანაზღაურება უნდა დაკისრებოდათ. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმე უმოქმედობით გამოწვეულ ზიანს ეხებოდა, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს ქმნიდა<sup>178</sup>.

---

ლოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება №3გ-ად-297-კ-02.

<sup>176</sup> რომელიც სრულიად უმწეო აღმოჩნდა და კვალიფიციური სამედიცინო დახმარებასა და სხვა მომსახურებას საჭიროებდა.

<sup>177</sup> ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობაში პოსტვაქცინალური გართულებების კომპენსირების სპეციალური ნორმები არ არსებობდა.

<sup>178</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება №ბს-434-25(3კ-05).

### 3.3. სამსახურებრივი მოვალეობა (“Amtspflicht”)

ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის კვალიფიკაციისათვის „სამსახურებრივი შესრულების“ ცნების ფუნქციური დატვირთვა აუცილებელია, რაც საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესს გულისხმობს.<sup>179</sup>

სამედიცინო საქმიანობის არსის გარკვევა მნიშვნელოვანია, რადგან მოქმედ კანონმდებლობაში ტერმინთა აღრევა შეინიშნება. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით<sup>180</sup>, სამედიცინო მომსახურება სამედიცინო საქმიანობასთანაა გაიგივებული, რაც არასწორია. ამ ნორმის თანახმად, სამედიცინო მომსახურება საქმიანობის ფართო სპექტრს მოიცავს, „...რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასთან, გაუმჯობესებასთან და აღდგენასთან (ფსიქიკურ, სოციალურ, სამედიცინო და ფიზიკურ რეაბილიტაციასთან), პალიატიურ მზრუნველობასთან, პაციენტის სამედიცინო მოვლასთან, პროთეზირებასთან, პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირებასთან, პაციენტის სამედიცინო განათლებასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან, სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებთან და სამედიცინო დაწესებულებებში გაწეულ, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებულ თანმხლებ მომსახურებასთან...“. შესაბამისად, კანონმდებელმა სამედიცინო მომსახურებას სამედიცინო საქმიანობის მრავალი ელემენტი დაუქვემდებარა, რაც, თავის მხრივ, დაცვის ობიექტის არეალის გაზრდასაც გულისხმობს.

სამედიცინო მუშაკს, ისევე, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დამცავ ორგანოების თანამშრომლებს, სამსახურებრივი გარანტის ფუნქცია ეკისრებათ, რაც იმას გულისხმობს, რომ მათი ვალდებულებაა (არასამსახურებრივ პერიოდშიც) თავიანთი პროფესიული მოვალეობა (ობიექტური გარემოებების შესაბამისად) განახორციელონ.

<sup>179</sup> ტურავა პ., წიკვაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 146.

<sup>180</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტი.

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დადგეს, როდესაც პირი სამსახურებრივ მოვალეობას სახელმწიფოსგან დელეგირებისა თუ დავალების საფუძველზე, სახელმწიფო სამსახურში ყოფნის დროს ახორციელებს.<sup>181</sup> ამასთან, ქმედება საჯარო სუბიექტის საჯაროსამართლებრივი (თანამდებობრივი) უფლებამოსილების ფარგლებში მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როცა მათ შორის ე.წ. გარე და შიდა ურთიერთკავშირი არსებობს. გარე ურთიერთკავშირი მაშინაა, როცა ქმედება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში ხორციელდება, – ე.წ. ფორმალური მხარე. შიდა ურთიერთკავშირის შემთხვევაა, როცა ქმედება უშუალოდ და შედეგობრივად სამსახურებრივი ვალდებულების შესრულების მიზანს ემსახურება, – ე.წ. სუბიექტური მხარე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე, „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, იმსჯელა და დაადგინა, რომ, მართალია, სანდრო გირგვლიანი შსს-ს თანამშრომლებმა მოკლეს, მაგრამ დამნაშავეები, დანაშაულის ჩადენისას, თავიანთი ოფიციალური სტატუსით, როგორც კერძო პირები და არა, როგორც შსს-ს ოფიცრები, მოქმედებდნენ და სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ.<sup>182</sup>

### **3.4. დაცვის ობიექტი, დელიქტური ქმედება და ბრალეული ქმედება**

ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, დაცვის ობიექტი, პირველ ყოვლისა, შეიძლება სიცოცხლე იყოს. სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა მრავალი საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულებით იმთავითვე დაცულია. სიცოცხლის ძირითადი უფლება ადამიანის არსებობის იმ ბიოლოგიურ და ბუნებრივ საფუძველს იცავს, რომელიც ძირითადი უფლებების კატალოგში ჩამოთვლილი ადამიან-

---

<sup>181</sup> ტურავა პ., წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 146.

<sup>182</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე, „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“.

ნის სულიერი, იდეური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის აუცილებელია<sup>183</sup>.

„სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“<sup>184</sup>. სიცოცხლის ხელყოფაა, როდესაც ადამიანის სიკვდილს აქვს ადგილი. ადამიანის სიკვდილად კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა მიიჩნევა<sup>185</sup>. თუმცა ჯანმრთელობის დაცვის მომწესრიგებელი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით), სიკვდილის სტადიები და სახეები უფრო დაკონკრეტებული და დიფერენცირებულია. კანონი გამოყოფს ტერმინს – „მყარ ვეგეტატიურ მდგომარეობას“<sup>186</sup>, რომლის მიხედვითაც, ის ე.წ. „სოციალურ სიკვდილს“ წარმოადგენს, რომლისთვისაც დამახასიათებელია მხოლოდ სიფხიზლისა და ძილის მონაცვლეობა. ასევე, კანონმდებელმა გამოყო ცნება „ტერმინალური სტადია“ („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „წ“ ქვეპუნქტი), რომლის თანახმადაც, ეს სტადია უკურნებელი დაავადების ან მდგომარეობის სიკვდილისწინა სტადიას წარმოადგენს. ამავე კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, „ტვინის სიკვდილი“ არის „თავის ტვინისა და ზურგის ტვინის ზედა სემენტების ფუნქციების სრული და შეუქცევადი შეწყვეტა სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის სპეციალური საშუალებებით შენარჩუნების ფონზე“. ანუ აღნიშნულ საკითხს კანონმდებელი უფრო ფართოდ და დეტალურად სექტორულ ნორმებში აღწერს.

ფიზიკური პირის გარდაცვალების შედეგად ზიანის ანაზღაურების ადრესატს დაზარალებულის სამართალმემკვიდრე წარმოადგენს.<sup>187</sup> ზიანის მიმყენებელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ზიანი იმ პირებს უნდა აუნა-

---

<sup>183</sup> კუბლაშვილი კ., სიცოცხლის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2006, 188.

<sup>184</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>185</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>186</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი.

<sup>187</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი.



ზღაუროს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალეობდა.<sup>188</sup> აღნიშნულის გერმანულ ანალოგიას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 844-ე პარაგრაფია, რომელიც დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში, მესამე პირთა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებს ეხება. მოცემულ შემთხვევაში „სიკვდილი“ ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს და შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა დასაფლავების ხარჯები იმ პირს უნდა აუნაზღაუროს, ვისაც აღნიშნული ხარჯების გაწევა ეკისრება<sup>189</sup>.

გარდა ამისა, ჯანდაცვის დელიქტებში დაცვის ობიექტი შეიძლება ადამიანის სხეული ან/და ჯანმრთელობა იყოს. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში იატროგენულ დაზიანებას<sup>190</sup> და დაავადების მკურნალობის შედეგებზე პასუხისმგებლობას გამოყოფენ. პირველ შემთხვევაში სამედიცინო პერსონალის მხრიდან მკურნალობის პროცესში მიყენებული ზიანია წარმოდგენილი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, იატროგენული დაზიანების არარსებობის მიუხედავად, პაციენტი შეიძლება მკურნალობის შედეგებით მინც იმედგაცრუებული დარჩეს.<sup>191</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სახის სარჩელების რაოდენობა მხოლოდ გერმანიაში მთელი წლის მასშტაბით 20 000-დან 35 000-მდე აღწევს<sup>192</sup>.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პრაქტიკული ასპექტები, როგორებიცაა, სამედიცინო დახმარება (მათ შორის აქტიური და პასიური – თუ შესაბამისი მოქმედების განხორციელება ზიანის მიმყენებლის ვალდებულებაში შედიოდა, ანუ გარანტის ფუნქცია ჰქონდა), ფსიქიკური აშლილობა, შოკი, კვაზი-სხეულის დაზიანება და ა.შ.<sup>193</sup> ნერვული შოკი და მისი ზიანის ელემენტი არაპირდაპირი ზიანის სახეა, რომლის შემთხვევაშიც შოკური ზიანის ადრესატები მესამე პირები არიან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გერმანიის სასამართლო პრაქტიკა ძალზე ფართოა.

---

<sup>188</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი, 2001, 425.

<sup>189</sup> Beerdigungskosten (გერმ.), იხ., Markesinis B.S., Unberath H., The German Law of Torts (A Comparative Treatise), Oxford and Portland Oregon, 2002, 44.

<sup>190</sup> Stauch M., The Law of Medical Negligence in England and Germany (A Comparative Analysis), Portland US, 2008, 1.

<sup>191</sup> იქვე, 1.

<sup>192</sup> Katzenmeier C., Arzthaftung, Tübingen, 2002, 41.

<sup>193</sup> Markesinis B.S., Unberath H., The German Law of Torts (A Comparative Treatise), Oxford and Portland Oregon, 2002, 47.

გერმანიაში მიიჩნევენ, რომ შოკი უნდა იყოს „შესაბამისი“ და „გასაგები“ (verständliche) მოწმეთა ჩვენებებით ან შემთხვევიდან გამომდინარე.<sup>194</sup> გერმანიის სასამართლოები მსგავსი ტიპის შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების საფუძველს მხოლოდ მაშინ ადგენენ, როდესაც ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის ნათესაური კავშირი არსებობდა<sup>195</sup>.

დაცვის ობიექტი ემბრიონიც შეიძლება იყოს. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი „პირს“ არ წარმოადგენს. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მართლმსაჯულებისათვის აქტუალური გახდა სარჩეულები, რომლებითაც პირები ზიანის ანაზღაურებას დაუეგებებენ, არასასურველი ორსულობის, არასასურველი ბავშვის დაბადებისა და არასასურველი ცხოვრებისათვის ითხოვენ.<sup>196</sup> როდესაც ემბრიონზე არასწორი სამედიცინო ქმედება განხორციელდა და ემბრიონი, რომელიც ჯანმრთელი უნდა დაბადებულიყო, მკვდარადშობილი დაიბადა, დელიქტური მოთხოვნის უფლება დედას წარმოეშობა. ხოლო ემბრიონზე ჩატარებული არასწორი სამედიცინო მომსახურების შედეგად დელიქტური ჯანმრთელობით მშობიარობის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება თავად ახალშობილს წარმოეშობა. პრაქტიკაში ორ შემთხვევას გამოყოფენ: 1. ემბრიონი, რომელიც ჯანმრთელი უნდა დაბადებულიყო, დაიბადა დაავადების ნიშნებით; 2. დაავადებული ემბრიონი, რომელიც არ უნდა დაბადებულიყო, დაიბადა<sup>197</sup>. პირველ შემთხვევაში, ემბრიონისა და ახალშობილის ფაზები უწყვეტია, შესაბამისად, ემბრიონის მიმართ განხორციელებული ზიანის მომტანი ქმედება, რომელმაც შესაბამისი შედეგი გამოიწვია, სამართალმემკვიდრეობით ქმედუნარიანობის შექმნისთანავე ვრცელდება.<sup>198</sup>

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს. მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის უფლების მქონე პირი დედა არ შეიძლება იყოს. დელიქტური პასუხისმგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 992-ე

---

<sup>194</sup> იქვე.

<sup>195</sup> LG Hamburg NJW 1969, 615.

<sup>196</sup> გელაშვილი ი., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არასასურველი ჩასახვისა, დაბადებისა და ცხოვრებისთვის, სამართლის პრობლემები, რომან შენგელია 70 (საიუბილეო კრებული), თბილისი 2012, 371.

<sup>197</sup> ე.წ. Wrongful Birth.

<sup>198</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი.

მუხლის მიხედვით) ცოცხლად დაბადებისთანავე წარმოიშევა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ დელიქტური ქმედების შესაბამისად, ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდეს. ვინაიდან ახალშობილი არასდროს ჯანმრთელი არ ყოფილა, მისი დაბადების მომენტიდან ჯანმრთელობის მდგომარეობა არც გაუარესებულა. აქედან გამომდინარე, გერმანიის სასამართლოები მიიჩნევენ, რომ მოცემულ შემთხვევაში, დელიქტური პასუხისმგებლობა გამოირიცხება, რადგან რთულია დაასაბუთო, რომელი სიკეთეა უფრო მნიშვნელოვანი – ემბრიონის მოკვდინება, თუ მისი დაავადებით დაბადება.<sup>199</sup>

არასასურველი ჩასახვა/ორსულობა გულისხმობს შემთხვევას, როდესაც ჩასახვა მშობლების ნების საწინააღმდეგოდ, „დაუეგმავად“ ხდება, რაც ექიმის ან სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენლის მხრიდან კონტრაცეფციასთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაციის მიწოდებამ ან წარუმატებელმა სტერილიზაციამ გამოიწვია.<sup>200</sup> გარდა ამისა, ჯანდაცვის დელიქტებში დაცვის ობიექტი შეიძლება არაქონებრივი (არამატერიალური) ქონებრივი სიკეთეც იყოს.

ქმედება კანონსაწინააღმდეგო ხასიათის უნდა იყოს. ტერმინი „კანონსაწინააღმდეგო“ უკანასკნელი წლების გერმანულ დოქტრინაში გაცხოველებული დისკუსიის საგანია. უკანასკნელ პერიოდში გაბატონდა აზრი, რომ ქმედებები „კანონსაწინააღმდეგოდ“ მიიჩნევა მაშინ, როდესაც მათ საზოგადოებრივი მართლწესრიგი კიცხავს, რადგან ისინი არღვევენ საკანონმდებლო აკრძალვას ან იმპერატიულ დანაწესს მოქალაქეთა ნების გამოვლინების მიმართ.<sup>201</sup>

ზოგადი დანაწესით, მართლზომიერი ქმედებით მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარკვეულ გამონაკლისს ადგენს, როცა ზიანი შეიძლება მართლზომიერი ქმედების

---

<sup>199</sup> Markesinis B.S., Unberath H., *The German Law of Torts (A Comparative Treatise)*, Oxford and Portland Oregon, 2002, 87.

<sup>200</sup> Baumil M., Hicks S., *Women and the Law*, 1992, 172, ციტირება წიგნში: გელაშვილი ი., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არასასურველი ჩასახვისა, დაბადებისა და ცხოვრებისთვის, რომან შენგელია 70 (საიუბილეო კრებული), სამართლის პრობლემები, 2012, 371.

<sup>201</sup> ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 287.

განხორციელების დროსაც დადგეს, ეს უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაა.<sup>202</sup>

მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოორიციხე გარემოებებზე შეიძლება დაზარალებულის თხოვნით ზიანის მიყენება იქნას მიჩნეული, იმ პირობით, რომ ის საზოგადოების ზნეობრივ პირობებსა და ღირებულებებს არ უნდა არღვევდეს. მაგალითად, დასაშვებია ადამიანის ორგანოების ან ქსოვილების ტრანსპლანტაცია მისივე თანხმობით,<sup>203</sup> თუმცა სასიცოცხლო ორგანოების ამოღება მართლზომიერად არ უნდა ჩაითვალოს.<sup>204</sup>

იურიდიულ მეცნიერებაში გამოყოფენ ე.წ. „კანონზემდგომ უკიდურეს აუცილებლობას“, რომლის დროსაც საფრთხის ქვეშ მრავალი სამართლებრივი სიკეთე იმყოფება და ობიექტური გარემოებების გათვასწინებით, შეუძლებელია თითოეულის გადარჩენა. ასეთ დროს ექიმის მიერ, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, საფრთხის ქვეშ მყოფი დაზარალებული პირების ნაწილის გადარჩენის შემთხვევაში არ შეიძლება მისი პასუხისმგებლობა დადგეს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ე.წ. „ჰიპოთეტური თანხმობები“, რომლებიც გადაუდებელი სამედიცინო ჩარევისას გამოიყენება. რა დროსაც ივარაუდება, რომ დაზარალებულის თანხმობა არსებობს.

ჩიკაგოელი აღნიშნავს: „ზიანის მიმყენებლის ბრალი ასახავს პირის მიმართებას ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან, ე.ი. ატარებს სუბიექტურ ხასიათს“<sup>205</sup>. სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ბრალის ფორმები დეფინიცირებული არაა.<sup>206</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალი განსაზღვრავს გაუფრთხილებლობის ორ ფორმას: უხემ და მარტივ (უბრალო) გაუფრთხილებლობას. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებების მოთხოვნებს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით არღვევს,<sup>207</sup> ხოლო ის, ვინც შედარებით დაბალი ხარისხით ჩადის

<sup>202</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი.

<sup>203</sup> „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

<sup>204</sup> ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი 2001, 383.

<sup>205</sup> იქვე, 386.

<sup>206</sup> იხ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლები.

<sup>207</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი 2001, 386.

ანალოგიურ ქმედებას მოქმედებს მარტივი (უბრალო) გაუფრთხილებლობით.<sup>208</sup>

გასათვალისწინებელია, რომ, ჯანდაცვის კუთხით, სამოქალაქო დელიქტებში მხოლოდ ბრალეული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი მოქმედებს.<sup>209</sup> აღნიშნული ნორმის კომენტარებისას ავტორები აღნიშნავენ, რომ მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ განზრახვის და უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევები მოქმედებს.<sup>210</sup>

საფრანგეთის ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა უკანასკნელ პერიოდში ჯანდაცვის სფეროში ჩამოაყალიბეს ორი ტიპის ბრალის ფორმა: უხეში გაუფრთხილებლობა<sup>211</sup> და მარტივი გაუფრთხილებლობა,<sup>212</sup> რომლებიც სამედიცინო სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობასთან მიმართებით აქტიურად გამოიყენება<sup>213</sup>.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 839-ე პარაგრაფის პირველი პუნქტი ადგენს: „თუ მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით არღვევს მასზე მესამე პირის მიმართ დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს, მაშინ მან მესამე პირს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი. თუ მოსამსახურე მოქმედებდა მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით, მაშინ მას შეიძლება მოეთხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს არ შეუძლია სხვაგვარად მოითხოვოს ანაზღაურების მიღება“<sup>214</sup>. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ გერმანელმა კანონმდებელმა სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში საჯარო მოხელის მხრიდან „განზრახი ან გაუფრთხილებელი“ ქმედება გამოყო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მიხედვით კი, საუბარია მხოლოდ განზრახვაზე ან უხეშ გაუფრთხილებლობაზე. შესაბამისად, მარტივი (უბრალო)

---

<sup>208</sup> იქვე.

<sup>209</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის ბოლო წინადადება („ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“).

<sup>210</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი 2001, 428.

<sup>211</sup> *faute lourde* (ფრ.).

<sup>212</sup> *faute simple* (ფრ.).

<sup>213</sup> Fairgrieve D., *State Liability in Tort – Comparative Law Study*, Oxford, 2003, 107.

<sup>214</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), §. ჭეჭელაშვილის თარგმანი, თბილისი, 2010, 177.

გაუფრთხილებლობა აღნიშნული ნორმის მიღმა რჩება. შესაბამისად, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის“ სახელმძღვანელოს ავტორები მართულად აღნიშნავენ, როდესაც ამბობენ, რომ „კანონის ნორმის ასეთი ფორმულირება კანონმდებლის შეცდომაა, რომელიც საჭიროებს სასწრაფოდ გამოსწორებას. უხეში გაუფრთხილებლობის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს გაუფრთხილებლობა. თუკი კანონი ასეთი რედაქციით იარსებებს, როგორც დღეს, აღმოჩნდება, რომ სახელმწიფო მოხელეთა თუნდაც ბრალეული მოქმედებით ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არავის ეკისრება“<sup>215</sup>. უმჯობესი იქნება, აღნიშნულ ნორმაში მისი დახვეწის მიზნით ცვლილება შევიდეს.

### 3.5. მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

ქმედების დელიქტად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, სამედიცინო მომსახურების გამწევი სუბიექტის მხრიდან ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უშუალო კაუზალური კავშირი არსებობდეს. უშუალოდ კაუზის გარდა, დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობაც უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. კერძოდ, ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება დამდგარ ზიანს დროში უნდა უსწრებდეს და ამასთან, მართლსაწინააღმდეგო ქმედება დამდგარ ზიანს უშუალოდ უნდა წარმოშობდეს.<sup>216</sup>

### 3.6. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი და შემზღუდველი გარემოებები

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ქართულ კანონმდებლობაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით, „ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“. მოცე-

---

<sup>215</sup> ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 333.

<sup>216</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბილისი 2001, 390.

მულ შემთხვევაში, არაბრალეულობის დასამატიციებლად მტკიცების ტვირთი ზიანის მიმყენებელ მხარეს აწევს. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „პროფესიული შეცდომის“ დაზღვევის ინსტიტუტია გათვალისწინებული, რომლითაც: „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს დააზღვიოს პროფესიული შეცდომა, რომლის შედეგადაც პაციენტს მიაღვა ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი“<sup>217</sup>. აღნიშნული, რა თქმა უნდა, ბრალეულობის დაზღვევას არ გულისხმობს. უპირველესად, ბრალის არსებობის შესახებ გარემოებები დადგინდება და შემდგომში ექიმის მიერ ჩადენილი „გაუფრთხილებელი“ ქმედება კანონმდებლობის შესაბამისად დაიზღვევა.

### **3.7. მესამე (სხვა) პირთა მიმართ არსებული საჯარო ვალდებულება (სამსახურებრივი მოვალეობა) (“Drittsschutz”)**

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ვალდებულების საკითხის განხილვისას მნიშვნელოვან ასპექტს დარღვევის ობიექტი – ე.წ. მესამე (სხვა) პირთა მიმართ არსებული საჯარო ვალდებულება (სამსახურებრივი მოვალეობა), და არა მხოლოდ ზოგადი საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა წარმოადგენს.

პოპულარული სარჩელებისაგან თავის არიდების მიზნით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სარჩელის დასაშვებობის ნაწილში, ადმინისტრაციული აქტის შედეგის ინდივიდუალურობის (ადრესატობის) საკითხს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის სამართალში ანაზღაურების მოთხოვნის უფლება უდავოდ მხოლოდ იმ პირს წარმოეშვება, რომელიც ზიანის მომტანი საჯარო-სამართლებრივი ქმედების ადრესატია, პირდაპირ და უშუალოდ (ინდივიდუალურად) არის ხელყოფილი, იმისდა მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განიხილება, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა, თუ ქმედების (რეალაქტის) განხორციელება.<sup>218</sup> შესაბამისად, ადრესატის სუბიექტური უფლების არსებობა ადმი-

<sup>217</sup> „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლი.

<sup>218</sup> საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი და 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ნისტრაციული ორგანოს მხრიდან შესაბამის საჯარო ვალდებულებებს შესაძლებელია პირების მიმართ წარმოშობს.

ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებელია პირის მიმართ არსებული საჯარო ვალდებულება ე.წ. „სამკუთხა საჯარო სამართალურთიერთობიდან“ გამომდინარეობს, რომლის დროსაც არსებობს: ურთიერთობა სახელმწიფოსა და საჯარო მოხელეს შორის, ურთიერთობა საჯარო მოხელესა და შესაძლებელია პირს შორის და ურთიერთობა სახელმწიფოსა და შესაძლებელია პირს შორის.<sup>219</sup>

#### 4. ჯანდაცვის შესახებ ქართული კანონმდებლობის არსებითი პრობლემები

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის დაცვის მომწესრიგებულ კანონმდებლობაში ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით უამრავი ხარვეზი არსებობს, რომელთაგან რამდენიმეს გამოვყოფთ.

პრობლემათაგან უმთავრესი და უპირველესი „პაციენტის“ ცნებაა. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში განმარტებულია, რომ ეს არის „ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით“<sup>220</sup>, ხოლო „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამ ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: „პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს სამედიცინო დახმარებით“<sup>221</sup>. ორი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული იდენტური ტერმინის ერთი დეფინიციის ჩამოყალიბება საჭირო. ამასთან, საყურადღებოა ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომელიც აღნიშნულ ნორმებში გათვალისწინებული უნდა იყოს: პაციენტი არ არის მხოლოდ „პირი – რომელიც სარგებლობს ან საჭიროებს, ან აპირებს ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით“, ის არის პირი, რო-

---

219 Wockel H., Grundzüge des deutschen Staatschaftungsrecht, Albert-Ludwigs-Universität Freiburg, 2006.

220 „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტი.

221 „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ პუნქტი.



მელსაც სამედიცინო დაწესებულებასთან გარკვეული სამართალურთიერთობა აკავშირებს, რაც მოცემულ ნორმებში აუცილებლად უნდა აღინიშნოს<sup>222</sup>.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ტერმინის – „ინფორმირებული თანხმობა“ – დაზუსტება. ეს უკანასკნელი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის კრილში, უმნიშვნელოვანესია. სამედიცინო დაწესებულებისათვის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთგვარ ბაზისს წარმოადგენს და ამავე დროს, ჯანდაცვის სფეროში ძირითად კანონს, რომლის რიგი ნორმების დარღვევამაც შეიძლება ადამიანის ისეთ უმნიშვნელოვანეს სიკეთესთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა გამოიწვიოს, როგორცაა, – ჯანმრთელობა. შესაბამისად, აუცილებელია ზემოაღნიშნულ ნორმატიულ აქტში „ინფორმირებული თანხმობის“ ინსტიტუტის იმგვარი ფორმულირება, როგორც ეს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონშია მოცემული<sup>223</sup>.

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ტერმინს – „მცდარი სამედიცინო ქმედება“, გამოყოფს,<sup>224</sup> რომლის დეფინიციაშიც ორი ისეთი ცნებაა მოცემული, რომელიც შეცვლას საჭიროებს, ესენია: „ექიმი“ და „უნებლიედ“. ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის კონსტრუქციიდან გამომდინარე, უმჯობესია, აღნიშნულ ნორმაში სიტყვა „სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ...“ ჩაიწეროს და არა – „ექიმის მიერ...“. გარდა ამისა, სიტყვა „უნებლიედ“ არასამართლებრივ ტერმინს წარმოადგენს, შესაბამი-

---

<sup>222</sup> თალაკვაძე ა., გოცაძე თ., ბოკერია ი., ბაქაქური ნ., სხვიტარიძე ზ., გვირიშვილი დ., ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2011, 23.

<sup>223</sup> შეად., „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი „ბ“ პუნქტი და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ პუნქტი.

<sup>224</sup> „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი.

სად, ის სიტყვით – „გაუფროხილებლად“ ან „გაუფროხილებელი ქმედებით“ უნდა შეიცვალოს.<sup>225</sup>

საინტერესოა, აღნიშნულ ტერმინებს საქართველოს სასამართლოები როგორ იყენებენ და ჯანდაცვის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების საკითხებთან მიმართებით, როგორია მათი პრაქტიკა.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა ჯანდაცვის სამართალში ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის კუთხით ძალზე მწირია. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე გადაწყვეტილება არსებობს. განსაკუთრებით მწირია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლთან დაკავშირებით განხილულ საქმეთა რაოდენობა. რიგ შემთხვევებში, ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად მხოლოდ მხარეთა მოთხოვნა არსებობს, სასამართლო კი სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლს, როგორც არასახელშეკრულებო ზიანის მიყენების შემთხვევებისათვის ზოგად ნორმას, იყენებს.<sup>226</sup>

გარდა ამისა, საქართველოს სასამართლოები სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებს უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის შემთხვევებთან დაკავშირებით ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის დებულებებს. საკითხი ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ნორმის შეფარდებას უკავშირდება: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ბაზისს აწესრიგებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობას მათი ან მათი სახელით მოქმედი პირების მიერ ზიანის მიყენებისას, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომელიც ბრალეულობის ინსტიტუტს, ზიანის ანაზღაურების საფუძვლებს და სოლიდარული

---

<sup>225</sup> თალაკვაძე ა., გოცაძე თ., ბოკერია ი., ბაქაქური ნ., სხვიტარიძე ზ., გზირიშვილი დ., ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2011, 27.

<sup>226</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №ბს-434-25 (3კ-05), საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განჩინება №ბს-82-77(კ-07), საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის განჩინება №ბს-512-489(კ-07).

პასუხისმგებლობის კონკრეტულ შემთხვევას აწესრიგებს, თუ 992-ე მუხლი, რომელიც დელიქტებთან მიმართებით ზოგადი ნორმაა.

ჯანმრთელობის დაცვის სამართალში ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობაზე საუბრისას, აუცილებელია, აღნიშნული ტიპის ნორმების სისტემური შეკრება და ერთ ნაწილში მოქცევა. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაც აჩვენებს, რომ ჯანდაცვის სამართლის კუთხით, დღის წესრიგში არა მხოლოდ ექიმის, არამედ, ზოგადად, სამედიცინო მომსახურების გამწვევი სუბიექტის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, რომელიც შეიძლება სახელმწიფოს სახელით გამოდიოდეს.

## დასკვნა

ნაშრომის ძირითადი მიზანი ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულსამართლებრივი საფუძველების ზოგადი მიმოხილვა და ჯანმრთელობის დაცვის სამართალში ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხის გარკვევა იყო.

ზიანის მიყენებელი სუბიექტების განსაზღვრისას, მოსაზრება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანულ სისტემაში არსებული ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრების ანალოგიურად, საქართველოშიც, ორგანოს ცნების ქვეშ ყველა ის პირი უნდა მოიაზრებოდეს, რომლებიც საჯარო ძალაუფლების განხორციელების უფლებით არიან აღჭურვილნი, – ისინი, ვინც საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებენ. სუბიექტების განხილვისას გამოჩნდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით გარკვეული შეუსაბამობა არსებობს. პრობლემის გადაწყვეტის რამდენიმე გზა იქნა შემოთავაზებული, მათ შორის, გამოითქვა მოსაზრება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირების განსხვავება მათი შესასრულებელი ფუნქციების მიხედვით მომხდარიყო, გერმანულ სამართალში არსებული ანალოგიური ინსტიტუტის შესაბამისად, რაც შეუსაბამობის აღმოფხვრის შესაძლებლობას იძლევა.

ნაშრომში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ის შემთხვევები განვიხილეთ, რაც თეორიაში არსებობს, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ის მოდელია, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოსთვის ყველაზე მისაღები უნდა იყოს; ყურადღება ისეთ პრობლემურ საკითხზე გა-

მახვილდა, როგორცაა სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან ერთად სოლიდარული პასუხისმგებლობის იმ ფორმით არსებობა, როგორც ის დღეს არის გაგებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო ზიანის ანაზღაურებას მოპასუხეებს სოლიდარულად აკისრებს. ამ მხრივ, სასამართლო პრაქტიკა განვიხილოთ, სადაც ამ პრობლემის არსებობა ნათლად ჩანს, ასევე, შემოგთავაზეთ პრობლემის გადაჭრის გზა, რაც კანონმდებლობაში ისეთი ცვლილების შეტანით გამოიხატება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლებლობას მისცემს, რომ მისი მოხელის მიერ მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლისა, გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მისგან მოახერხოს.

ნაშრომში, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დადგენილი ის კრიტერიუმები განვიხილოთ, რომლებიც ამჟამად სასამართლოებში გამოიყენება. ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება სასამართლო პრაქტიკის იმ შემთხვევაზე გამახვილდა, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ საფუძვლად ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათია დამკვიდრებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, გამოითქვა მოსაზრება, რომ ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ადმინისტრაციული ორგანოსთვის პასუხისმგებლობის დაკისრების კრიტერიუმი არ უნდა იყოს. ასევე, ყურადღება კანონის იმ დანაწესზე გამახვილდა, სადაც ბრალის ფორმად უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაა განსაზღვრული და მიჩნეულია, რომ კანონის ეს ნორმა გაუმართლებელია და გამოსწორებას საჭიროებს.

ნაშრომში მოსაზრება იმასთან დაკავშირებით გამოითქვა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დამდგენი ადმინისტრაციული და სამოქალაქო მექანიზმები ერთსა და იმავე შემთხვევას განსხვავებულად აწესრიგებენ. ასევე, დადასტურდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას, უპირატესობა სწორედ სზაკ-ით დადგენილ წესს უნდა მიენიჭოს. მსჯელობა ამ ინსტიტუტების განმასხვავებელ ნიშნებზე იყო. მიმოიხილა სასამართლო პრაქტიკა, რომლის დროსაც გამოვლინდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა უმრავლესობა დავის გადაწყვეტისას არა სზაკ-ის, არამედ სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობს. ამავე ნაწილში სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილებებიც იქნა განხილული, სადაც სზაკ-ის ნორმების პრიორიტეტად მიჩნევასთან დაკავშირებით სასა-

მართლოს მოსაზრება ჩანს. დასაბუთდა, რომ სასამართლო პრაქტიკა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას არაერთგვაროვანია, რასაც ამ ურთიერთობის ორი – ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსით განსხვავებულად მოწესრიგება იწვევს. ნაშრომში შემოთავაზებულ იქნა პრობლემის გადაჭრის გზა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მხოლოდ ადმინისტრაციული ან სამოქალაქო კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს, თუმცა ნაშრომში, ასევე, მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის სხვა-ით მოწესრიგების უპირატესობა დადასტურდა. გარდა ამისა, განხილულ იქნა დელიქტური სამართლისა და ჯანდაცვის სამართლის ურთიერთმიმართება, რაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ძალზე მნიშვნელოვანია.

ვინაიდან მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის განმახორციელებელი დაწესებულებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უწყებებს არ წარმოადგენენ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსი აქვთ, მნიშვნელოვანი იმის გაანალიზება იყო, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ისინი პასუხს ჩვეულებრივად აგებენ, როგორც ყველა ის პირი, ვინც საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს, თუ ისინი სახელმწიფოს მიერ დაფუძნდა.

გარდა ამისა, მოცემული ნაშრომის ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის ის კონკრეტული ასპექტები გაანალიზდა, რომლებიც შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის ინსტიტუტთან უშუალოდ კავშირში იყოს და ის ტერმინოლოგიური თუ შინაარსობრივი ხარვეზები ნათლად გამოჩნდა, რაც ჯანმრთელობის დაცვის მომწესრიგებელ ქართულ კანონმდებლობაში არსებობს: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში და სხვ.

მოცემული ნაშრომიდან ნათელი გახდა, რომ ჯანდაცვის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების კუთხით სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს; ან, თუ არსებობს, ძალიან მცირე დოზით, რაც აღნიშნული ქვეინსტიტუტის განუვითარებლობითაა განპირობებული.

პაციენტების მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სუბიექტი, ძირითადად, ყოველთვის ექიმია, ამიტომაც ამ კონკრეტული მოწესრიგების ერთ სივრცეში გაერთიანებაა საჭირო, რათა მისი პრაქტიკული გამოყენება გაადვილდეს და ამასთან, შედეგი გამოიღოს.

გარდა ამისა, პაციენტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს სახით მას იმ ძალაუფლების განმახორციელებელი სუბიექტი ჰყავს, რომელიც მის ჯანმრთელობის უფლებას არა მარტო ნეგატიურად, არამედ პოზიტიურადაც დაიცავს, გარემო პირობებს შექმნის, ასევე, ინფრასტრუქტურას და ა.შ., რომელიც უმნიშვნელოვანესი უფლების – ჯანმრთელობის უფლების პრაქტიკული რეალიზაციისათვისაა საჭირო.

## ბიბლიოგრაფია

1. მონტესკიე შარლ ლუი, კანონთა გონი (მთარგმნელი დ.ლაბუჩიძე), CIPD, თბილისი 1994
2. ზუბუა გიორგი, შესავალი სამართალმცოდნეობაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2004
3. აღეიშვილი ზურაბ, ვარდიაშვილი ქეთევან, იზორია ლევან, კალანდაძე ნინო, კოპალეიშვილი მაია, სხირტლაძე ნუგზარ, ტურავა პაატა, ქიტოშვილი დიმიტრი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი 2005
4. ტურავა პაატა. წვეპლაძე ნათია, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი 2010
5. კუბლაშვილი კონსტანტინე, ძირითადი უფლებები, თბილისი 2003
6. ციპელიუსი რაინჰოლდ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006, მთარგმნელი თოთლაძე ლ., რედ. ტურავა მ., ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006
7. ჰენშელი სანდრა, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, თბილისი 2001
9. ახვლედიანი მირანდა, ჯანმრთელობის დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2001
10. თალაკვაძე არჩილ, გოცაძე თამარ, ბოკერია ივანე, ბაქაძური ნინო, სხვიტარიძე ზვიადი, გზირიშვილი დავითი, ჯანდაცვის კანონმდებლობის მიმოხილვა და სამართლებრივი ანალიზი, თბილისი, 2011
11. გერზმავა ოთარ, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, თბილისი, 1998
12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი 2001
13. ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, რედ. ზოიძე ბ. ჭანტურია ლ, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999
14. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), მთარგმნელი და რედაქტორი ჭეჭელაშვილი ზ, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2010

15. ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2010
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე (სტატიათა კრებული), რედ. კორკელია კონსტანტინე, თბილისი 2006
17. რომან შენგელია 70, საიუბილეო კრებული, სამართლის პრობლემები, გამომცემლობა „სამართალი“, 2012
18. ცვაიგერტი კონრად, კოტცი ჰაინ, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თარგმნ. ე. სუმბათაშვილისა, რედ. და ბოლოთქმა თ. ნინიძისა, თბილისი, 2001
19. მაკარიძე დავით, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა, სამაგისტრო ნაშრომი, თსუ, 2012
20. Manfred Baldus/Bernd Grzeszick/Sigrid Wienhues, Staatshaftungsrecht. Das Recht der öffentlichen Ersatzleistungen, 2005
21. Detterbeck/Windhorst/Sproll, Staatshaftungsrecht (künftig: DWS), 1999
22. Otfried Seewald, Recht der öffentlichen Ersatzleistungen – “Staatshaftungsrecht”, SS 2007 3. Auflage
23. Steffen Detterbeck/ Kay Windthorst/ Hans-Dieter Sproll-Staathaf-tungsrecht; Lehr unda praxisbücher S. 434-435; JuS Schriftenreihe, Munchen 2000
24. Steffen Dettenberk, Allgemeine Vervaltungsrecht mit Verwal-tungsprozessrecht. Kapitel 6. Staatshaftung Seite 349; 3 Auflage; Verlag C.H Beck; Munchen 2005
25. Karin Lochte-Handjery - Das verschulden im Rahmen des Amtshaf-tungsanspruchs – zeitgemäße Haftungsvoraussetzung oder relikht lang ver-gangener Tage? JUS-2001
26. Badura, Burgi Ehlers, Erichsen, Ossenbuhl, Papier. Rufner - All-gemeines Verwaltungsrecht, s. 818; 12 neu bearbeitete Auflage; De Gruyter Recht. Berlin 2002
27. Katzenmeier Christian, Arzthftung, Tübingen, Mohr Siebeck, 2002
28. Wockel H, Grundzüge des deutschen Staatschaftungsrecht, Albert-Ludwigs-Universität Freiburg, September 2006
29. C.Harlow, State liability: Problem Without Solution (1996)
30. Fairgrieve Duncan, State Liability in Tort – Comparative Law Study, 2003, Oxford University Press



31. Street Harry, Governmental Liability: A Comparative Study, Cambridge 1953

32. Pozgar George D, Legal Aspects of Health Care Administration”, Seventh Edition, AN Aspen Publication, Gaithersburg Maryland, 1999

33. Markesinis Basil S. Unberath H, The German Law of Torts (A Comparative Treatise), Fourth Edition, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2002

34. Stauch Marc, The Law of Medical Negligence in England and Germany (A comparative analysis), Hart Publishing, Portland US 2008

35. Soulier. Gerard, Reflexions Sur l’Evolution et l’Avenir du Droit de la Responsabilite de la Puissance Publique, RDP (1969)

### **ელექტრონული წყაროები**

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული საიტი  
<http://www.ena.ge/explanatory-online>

### **ნორმატიული ბაზა (2014 წლის აპრილის მდგომარეობით)**

1. საქართველოს კონსტიტუცია (მიღების თარიღი - 24/08/1995)
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (მიღების თარიღი - 05/02/2014)
3. საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (მიღების თარიღი - 27/12/2011)
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (მიღების თარიღი - 25/06/1999)
5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (მიღების თარიღი - 23/07/1999)
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მიღების თარიღი - 26/06/1997)
7. საქართველოს კანონი „მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესის შესახებ“ (მიღების თარიღი - 11/02/2004)
8. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ (მიღების თარიღი - 28/05/1999)

9. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ (მიღების თარიღი - 05/07/2004)

10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია (მიღების თარიღი - 08/12/2000)

11. საქართველოს პრეზიდენტის № 296 ბრძანებულება „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ“ (მიღების თარიღი - 10/05/2007)

12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მიღების თარიღი - 22/07/1999)

13. საქართველოს ორგანული კანონი „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუღებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (მიღების თარიღი - 11/11/1997)

14. საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ (მიღების თარიღი - 23/07/1999)

15. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (მიღების თარიღი - 10/12/1997)

16. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ (მიღების თარიღი - 05/05/2000)

17. საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ (მიღების თარიღი - 08/06/2001)

18. საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ (მიღების თარიღი - 27/06/2007)

19. საქართველოს კანონი „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ (მიღების თარიღი - 21/03/1995)

20. საქართველოს კანონი „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ (მიღების თარიღი - 07/12/2001)

21. საქართველოს კანონი „ადამიანის ორგანოთა გადანარგვის შესახებ“ (მიღების თარიღი - 23/02/2000)

22. საქართველოს კანონი „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ (მიღების თარიღი - 17/11/2009)

23. საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ (მიღების თარიღი - 14/07/2006)

24. საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ (მიღების თარიღი - 17/04/1994)

25. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 13 სექტემბრის ბრძანება №01-64/6 „საექიმო სპეციალობითა ნუსხისა და მომიჯნავე საექიმო სპეციალობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (ცაუქმებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 6 მარტის №01-1/6 ბრძანებით)

26. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №331/6 „იმ საექიმო სპეციალობითა ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომელშიც ეკრძალება მუშაობა ამა თუ იმ დაავადების მქონე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს და სახელმწიფო სერთიფიკატის მძიებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობის დამტკიცების თაობაზე“

27. Bürgerliches Gesetzbuch (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მთარგმნელი და რედაქტორი ჭეჭელაშვილი ზ, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2010 წლის მდგომარეობით)

### **სასამართლოების გადაწყვეტილებები**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 18 ნოემბრის №ბს-284-250-04 გადაწყვეტილება;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 20 იანვრის №ბს-550-633-(კ-03) გადაწყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 15 თებერვლის №ბს-1163-738(კ-05) გადაწყვეტილება;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის №ბს-1150-981-კ-04 გადაწყვეტილება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 17 თებერვლის №ბს-1113-950-კ-04 გადაწყვეტილება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 17 თებერვლის №ბს-1163-738(კ-05) გადაწყვეტილება;
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის №ბს-586-507-კ-04 გადაწყვეტილება;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 23 სექტემბრის №ბს-205-172-კ-04 გადაწყვეტილება;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 25 ივლისის №ბს-250-195(კ-05) განჩინება;
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის №ბს-454-43(კ-05) განჩინება;
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ნოემბრის №ბს-252-238-კ-07 განჩინება;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის №ბს-198-187(კ-07) განჩინება;
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის №ბს-860-822-კ-07 განჩინება;
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 30 სექტემბრის №ბს-656-565-კ-04 განჩინება;
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის №ბს-1025-978(კ-06) განჩინება;
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის №ბს-908-768-კ-04 განჩინება;
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის №ბს-860-822(კ-07) განჩინება;
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 მაისის №ბს-237-182-კ-05 განჩინება;

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 18 ნოემბრის №ბს-536-122-კ-05 განჩინება.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის №ბს-1116-1067(კ-07) განჩინება.